

619
1984/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ISSN 0180—1624

საქართველო

ს 8 3 0 6 3 7
№ 8 1984 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 294871



ალოობა (ქარუელის რაიონი)

ფოტო თარხან არჩვაძისა.

17.71



კოსმოსური სომალდის „სოიუზ ტ-12“-ის ეკიპაჟი. მარჯვნიდან მარცხნივ: ეკიპაჟის მეთაური, საბჭოთა კავშირის კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის ორგზის გირი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯანი-ბეკოვი, კოსმონავტ-მკვლევარი, საბჭოთა კავშირის გირი იგორ კებრეს ძე ვოლკი, გორბინიენერი, საბჭოთა კავშირის მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის ორგზის გირი სვებლანა ევგენის ასული სავიცაია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 8 (572) აგვისტო, 1984

ეურნალი გამოდის 1928 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ეურნალი


მთავარი რედაქტორი
სუტა გერულავა

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1984 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. შლივანი), ნათელა
გიორგოზიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი,
სერგო ღურშიყია, ვახტანგ ეხვანჯია, ოთარ
თურქია, ღინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



დენტების გვარები — ბევრი მათგანი ვერ დაბრუნდა ფრონტიდან! დღეს ჩვენ პატრულს მივაუბნებთ მათს სოფანს!

ვერ ჩამოვთვლით ყველა იმთ სახელს, ვინც თავიდან დაიწყო „სა-სადასო გაზეთი“. მაგრამ ვიტყვი, რომ ყველანი ისინი გაზეთის, უფროაღმს-ტური პროფესიის ქემშარტი პატ-რიოტები იყვნენ. ჩვენს რედაქცია-ში ვაკანტური ადგილი იშვიათია, ხოლო თუ საშტატო განრიგში „ბა-რი“ გაჩნდება, უმალ გამოჩნდება „მოსახლისნიც“, რომლებიც მზად არიან შეავსონ იგი. ჩვენს რედაქ-ციაში კადრების დენადობის თითქ-მის ნულოვანი პროცენტია. ბევრი იმთგანი, ვინც „სადასო გაზე-თი-58“ დაიწყო, დღესაც მწყობრ-შია. დარწმუნებული ვარ, რომ იმა-თაც კი, ვინც რაიმე მიზეზით წავი-და ჩვენი რედაქციიდან, გულთბილი გრძობა შერჩათ თავიანთი გაზეთი-სადმი.

ამ დღეს მსურს მათ ვუთხრა: უდიდესი მადლობა თქვენი ძნელი შემოქმედებითი შრომისათვის. სია-მოვებით მოვთავსებდი თითოეუ-ლი თქვენგანის პორტრეტს „ვეჩერ-ნი ტბილისს“ მუზეუმში.

მსურს მადლობა გადავუხადო მრ-ავალიცხოვან საზოგადოებრივ კო-რესპონდენტებს, რომლებმაც ნება-ყოფილით იკისრეს პროფესიონალ უფროაღმსტბთან ერთად გააშუქონ რესპუბლიკის დედაქალაქის პოლი-ტიკური, საზოგადოებრივი, ეკონო-მიკური, სოციალური და კულტურ-რული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები, მხარი დაუჭირონ და გა-ნავითარონ ყოველივე გაბედული, პერსპექტიული, მოწინავე, მტკიცედ ებრძოდნენ ნაკლოვანებებს, უძრაო-ბას, ყოველივე იმას, რაც ხელს უშ-ლის ჩვენს გამარჯვებულ წინსვლას. სულითა და გულით ვულთავც და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ გაზეთ „თბილისსი“ მო-მუშავე კოლეგებს, რომელთადაც გვაკავშირებს საქმიანი და მეგობრუ-ლი კონტაქტები.

ამბობენ, გაზეთი მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობსო. რამდენად სწო-რია ეს? დღევანდელი პრობლემები ხომ გაუშინ იშვა, ხოლო მათი გადა-წყვეტა გვემხარება კიდევ ერთი ნა-ბიჯი გადავდგათ წინ. და ჩვენ ამა-ყად ვამბობთ დღეს, რომ ბევრ სახ-ვადიო პრობლემას ჩვენი გაზეთი სვამდა და ღირსეულად ასრულებდა.

გულწრფელი მადლობა საქართვე-ლოს კომპარტიის ცენტრალურ კო-მიტეტს, პარტიის თბილისის საქალა-ქო კომიტეტს ყოველდღიური დახმარ-ებისა და მხარდაჭერისათვის. მად-ლობა ჩვენს მკითხველს, ყველას, ვისაც უყვარს, აფასებს და ყოველ-დღე მოუთმენლად ელის ჩვენი გა-ზეთის ახალი ნომრის გამოსვლას. ჩვენც, ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვიღონებთ, რათა გავამართლოთ ეს სიყვარული და ნდობა.

პავლე ასლანიდი,
ბაზემთ „ვეჩერნი ტბილისსი“
რედაქტორი.

„თბილისი“ „ვეჩერნი ტბილისი“

ზუსტად ექვსი ათეული წლის წინათ გამოვიდა „თბილისის“ პირ-ველი ნომერი. ამ ხნის მანძილზე თბილისისა და თბილისელების მხარ-დახმარ მხნედ მოაბიჯებს იგი — ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მჩქეფარე ცხოვრების ალალ-მარ-თალი მატანე. გაზეთი ფართოდ ასახავს ქალაქის მშრომელთა მრ-ავალფეროვან ცხოვრებას პარტიის მიერ განსაზღვრული ამოცანების საფუძველზე, და ამ ამოცანების წა-რმატებით გადაჭრა რედაქციის კო-ლექტივს თავისი ღირსების საქმედ მიიჩნია.

და ასე, დღითი დღე, წლიდან წლამდე „თბილისი“ რაზმავს და წინ მიუძღვის თბილისელებს კომუ-ნისტური აღმშენებლობისათვის გაშ-ლილ საყოველთაო-სახალხო მოძრა-ობაში, მუდამ გვევლინება ხალხთა მეგობრობის დიადი იდეების დაუ-ღლავ პროპაგანდისტად. ხოლო მას შემდეგ, რაც „თბილისი“ აქტიურად ჩაება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალ-ური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანების გადაჭრისა-თვის დედაქალაქის პარტიული ორ-განოვაციის დიდ, მასშტაბურ მუშა-ობაში, კიდევ უფრო გაიზარდა მისი როლი და ავტორიტეტი. იგი ყუ-რადღებთ უსმენს და ითვალისწინ-ებს მშრომელთა მოთხოვნებს, თავის მუშაობას წარმართავს პარ-ტიის მიერ დასახული იდეურ-პო-ლიტიკური და სოციალური განვი-თარების ძირითადი მიმართულებე-ბის მიხედვით.

„თბილისი“, როგორც კოლექტი-ური ავტორი, კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური ორგანიზატორი, დედაქალაქის კო-მუნისტთა, პარტიული კონფერენცი-ების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმების მიერ აღე-ბული კურსის განუხრეულ გამტარე-ბლად გვევლინება.

აბა, გავიხსენოთ, რა თანამიმდევ-რულად აიხაზა „თბილისის“ ფურც-ლებზე მოძრაობა დედაქალაქის სა-ნიმუშო კომუნისტურ ქალაქად გა-დაქცევისათვის, როგორ ცდილობს, არ გამოჩნდეს ამ მრავალწახანავოვანი პრობლემის არც ერთი მხარე, არც ერთი დეტალი. ფაქტობრივად ეს კურსი გახლავთ გაზეთის ფურც-ლებზე წარმოჩენილი ყოველი ახალი თემის, ახალი წინადადებების მასა-ზრდოებელი წყარო.

აღებული კურსის შემდგომი გან-მტკიცებისა და განვითარების ახალ მამოძრავებელ დებულებებს ხედავს გაზეთის კოლექტივი სკკპ ცენტრალ-ური კომიტეტის მიერ სულ ახლა-ხან მიღებულ დადგენილებაში „რაი-ონული და საქალაქო გაზეთების მუ-შაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ჩვენი დედაქალაქის XXXIX პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებში.

ამ კონფერენციამ მოქმედების ვრცელი პროგრამით შეგვაიარადა. გაზეთმა მიზნად დაისახა ჩაღრმევე-ბოდა ჯერაც არსებული ხარვეზებს,

დახმარებოდა შედარებით ჩამორჩე-ნილ უბნებს გამოუყენებელი რეზე-რების ამოქმედებაში, სიძნელეთა დაძლევაში, შესაბამისად გაჩნდა რუბრიკა — „თბილისის XXXIX პარტიულმა კონფერენციამ დაგვავა-ლა — შევასრულებთ!“.

ქალაქის პარტიულ კონფერენცი-აზე გამართულმა საუბარმა ლოგი-კურად გადმოინაცვლა „თბილისის“ ფურცლებზე: მეცნიერულ-ტექნიკუ-რი პროგრესის პრობლემები, საწარ-მოების ახალი ტექნიკური აღჭურვი-ლობა, კოლექტივის თითოეული წევ-რისათვის უდიდესი ზრუნვა, შრო-მის ნაყოფიერების გაზრდა, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, პრო-დუქციის თვითღირებულების შემცო-რებისათვის ბრძოლა — ესა და სხვა მრავალი პრობლემა გახდა გაზეთში გამოქვეყნებული მასალების ძირითა-დი თემა.

ფაქტების, მოვლენების იმ მრავალ-ფეროვან მოზაიკაში, რომელსაც გა-ზეთი სთავაზობს თავის მკითხვე-ლებს, დიდი ადგილი უჭირავს ად-მიანის კომუნისტური აღზრდის, ახალგაზრდობის ჩამოყალიბების, პა-რტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს.

გაზეთი მეტად მკაცრად, შეური-გებლად იბრძვის ქალაქში მართლ-წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამ თემისადმი მიძღვნილ მასალებ-ში ნათლად გამოიკვეთა „თბილი-სის“, მისი მრავალათასიანი მკით-ხველის პოზიცია. განსაკუთრებული გამოხმაურება პოვა მკითხველში გა-ზეთის ფურცლებზე შობილი „თბი-ლისის საზოგადოებრიობის ღია კრე-ბამ“, რომელიც მართლწესრიგის და-ცვასა და უცხო გამოვლინებებთან დაუნდობელ ბრძოლას შეეხებოდა: ძალზე აქტუალური გამოდგა ოჯახის მორალური სიწმინდისა და ოჯახში ქალის როლის მნიშვნელობაზე, ზენ-ობის პრობლემებზე დაწერილი სტა-ტია „მათი ჩუმი თანხმობით“. ფარ-თო გამოხმაურება პოვა მასალებმა, რომლებიც დაიბეჭდა რუბრიკით „პრობლემა — ადამიანი ქალაქში“.

„თბილისის“ რედაქციის კოლექ-ტივს შემდგომ მუშაობაშიც ფარ-თოდ აქვს გათვალისწინებული პარ-ტიის მიერ ყოველისმომცველად მო-ხაზული პრობლემების გაშუქება.

ოთარ იოსელიანი,
ბაზემთ „თბილისის“ რედაქტორი.

60 წელი სოლიდური ასაკია, სწო-რედ ისეთი, როცა უკან იყურები და შენს თავს ეკითხები, როგორ განვლე ეს წლები, რა გაკეთდა და რის გაკეთება შეიძლებოდა კიდევ? და რა სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ათეული წლები უქმად არ გი-ცხოვრია. „სადასო გაზეთი“, რომე-ლიც მილიონიანი ქალაქის მცხოვ-რებლებს პირზე აკერიათ, ნიშნავს, რომ მკითხველს უყვარს გაზეთი.

„სადასო გაზეთის“ მუშეუმი რომ გვექონდეს, ცენტრალურ ადგილს და-ვუთმობდით „რაბოჩია პრავდის“ კორესპონდენტის სარედაქციო პირა-დობის მოწმობას, რომელიც დათა-რილებულია 1928 წლით. მან გაზე-თის ფურცლებზე გააშუქა საქართ-ველში ლენინური ეროვნული პო-ლიტიკის განხორციელების პირველი ნაბიჯების, ომითა და მენშევიკების მიერ დანგრეული სახალხო მეურნე-ობის აღდგენისათვის თბილისელთა სადაგი დღეები.

„რაბოჩია პრავდა“, რომელიც რუსულ ენაზე გამოდიოდა, ღირსეუ-ლად ასრულებდა თავის მოვალეო-ბას. იგი მუდამ იღვა მუშათა კლა-სის ინტერესების სადარაჯოზე, ამ-კვიდრებდა ახალ ცხოვრებას ძველ საქართველოში. ჩვენ ვამაყობთ „ვე-ჩერნი ტბილისის“ სახელოვანი წინა-პრობით.

დღეს, გაზეთის იუბილეს დღეს, ქედს ვუხრით ჩვენს შორეულ კო-ლეგებს. ნამდვილი მეტროპოლები, და-ულალავი მშრომელები თავიანთი კა-ლმით გაბედულად, შეუდრეკელად ებრძოდნენ ძველს, გზას უკვალავ-დნენ ახალს.

ჩვენ პატივს ვცემთ თანამოკალ-მეებს „ტიფლისკი რაბოჩიდან“, რომელმაც 1932 წელს შრომითი ესტა-ფეტა მიიღო „რაბოჩია პრავდისა-გან“. დღევანდელი იუბილე იმათი დღესასწაულიც არის, ვისი მეცადი-ნებოთაც ყოველ საღამოს გამოდი-ოდა გაზეთ „ვეჩერნი ტიფლისის“ მორიგი ნომერი, რომელიც „ტიფ-ლისკი რაბოჩის“ ბაზაზე დაარსდა და შემდეგ დაერქვა „ვეჩერნი ტბი-ლისის“.

„აღორძინებული“ „სადასო გაზე-თი“ კვლავ მივიდა მკითხველთან 1958 წლის 20 მაისს. მაგრამ, სამ-წუხაროდ, 50-იანი წლების მკითხვე-ლებმა გაზეთის ფურცლებზე ვეღარ ნახეს მათთვის ნაცნობი კორესპონ-

ქართული ვაჟა-ფშაველას ხანრობა

საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

პიასეჩნოეს იმ მტკრიან ქუჩაზე დღეში ორჯერ მაინც მიწველა გავლა.

და ყოველ გავლაზე ჩემდაუნებურად ფეხს შევანელებდი ხოლმე იმ პატარა, ღარიბულ ხატასთან, ქუჩიდან ათიოდე ნაბიჯზე რომ იდგა ჩემკემ კარფანჯრით მაცქერალი.

მისი კარი ყოველთვის მიხურული იყო. გაღებული არც კარსიქითა მარცხენა ფანჯარა მიწნახავს. მუდამ ღია მარჯვენა ფანჯარა მეტკმა მაგნიტად, სირბილით მიმავალსაც რომ შემაჩერებდა და თვალეზად მაქცევდა.

და ჩემი ფართოდ გახელილი, გაცეცხული თვალეზი ჩვეულებრივ პატარა ფანჯარას კი არა, ფიჭვის ჩაშვებულ მერქნისაგან შეკრულ ჩარჩოს შეპყურებდნენ, და იმ ჩარჩოში ოთახის ჩამუქებული სივრცის ფონზე ქარდაქროლილი ნაღვერდალივით დგოდა სიზმარულ ნისლეში გახვეული ქალიშვილის პორტრეტი.

პირველ ხანებში ასეც მეგონა — ჩემს წინ უცნობი დიდოსტატის მიერ შესრულებული და ფანჯრის ჩარჩოში სასწაულებრივად ჩასმული ქალიშვილის პორტრეტი იყო. შთაბეჭდავ ტილოდ იკითხებოდა საოცრად კდემამოსილი და მიმკრთალი სახე, უბრალო ჩითის კაბით დაფარული მკერდი, ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი შიშველი იდაყვები, მხრებზე ცხრატოტად ჩამოღვრილი მზისსხივისფერი თმების ჩანჩქერი.

და მე რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩის პირზე შევჩერდი.

შევჩერდი და იმ პორტრეტს ჩავამტერდი.

და აი ის შეტოკდა, ოდნავ შეტოკდა!

თვალეზი მოვიფშვნიტე.

ფანჯრის ჩარჩოში ცოცხალი, ძვალ-ნორცხანი არსება იყო. მისი დიდი, ცისფერი თვალეზი ჩიუტად გაცქეროდნენ შორეულ სივრცეს.

ეზოში შევედი. ქალიშვილს მივესალმე. მზერა ზანტად გადმოიტანა ჩემზე. თავი უხმოდ დამიქნა და ისევ სივრცეს ჩამატერდა.

რას ხედავდა და ვის ხედავდა, რას ეძებდა და ვის ეძებდა იმ უსასრულო სივრცეში...

წყალს ხომ არ დამალევიანებმეთქი. სხვა რამის თქმა ვერ მოვახერხე. შემოდი და დალიეო. ოთახში შევედი. შევედი და ვნახე: ფანჯარასთან მი-

დგმულ ტაბურეტზე თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონა იჯდა, რომელიც მხოლოდ ცალი ფეხით ეხებოდა იატაკს.

გვერდით, კედელთან, ფანჯარასა და კარს შუა მაგიდა იდგა. მაგიდაზე მოხარშული კარტოფილი და პურის ნატეხი შევნიშნე. წყლიანი დოქიც იქვე დავლანდე. წყალი ჭიქაში დავასხი და მოვსვი. გმადლობთ-მეთქი, — ქალიშვილს მივუბრუნდი. არც შეტოკებულა. გამოლაპარაკება ვცადე, არც მაშინ შეტოკდა. ეზოში გამოვედი. ნახვამდის-მეთქი. პასუხი არ გამცა.

მეორე დღეს სოფლის ვარით, გზის პირებში, მინდვრის ყვავილების თაიგული შევკონე და ისე მივაკითხე ფანჯარასთან მჯდარ ქალიშვილს. მისალმებაზე არც ახლა შემეხმაურა. ყვავილები გავუწოდე. ყურადღება არ მოუქცევია. თაიგული მის წინ, ფანჯრის რაფაზე დავდემეც და ის ყვავილებიც სადღაც შორს, ქალიშვილის მხერის მიღმა ვიყავით. ის ისევ სივრცეს გაპყურებდა. ის იყო გამობრუნება დავაპირე, რომ გოგონამ თაიგულს დახედა, ხელი შეავლო, სახესთან მიიტანა და ხარბად დაყნოსა... და ისევ სივრცეს მიაშტერდა.

ნახვამდის-მეთქი, — ხმადაბლა ჩავილაპარაკე.

ნახვამდისო, ისე მითხრა, ჩემკემ არც გამოუხედავს.

სამი დღის მერე ისევ გადავუხვიე იმ შეულობავ ეზოში.

შორიდან მივესალმე. მზერა ჩემკემ მოაპყრო, დღეკეთილიო, მითხრა. მის თვალეზში ნდობისა და მადლიერების მიმქრალი ნაპერწკლები დავლანდე.

— დღეს მე მზის სხივებით უნდა დაგასაჩუქრო, ქალიშვილო! — ეზოდანვე შევძახე. თავიდან კეპიანი ქუდი გადავიძირე, ჩავცუკქდი. გადმოპირქვავებული ქუდი ბალახზე დავდე და ერთმანეთს მიტყუებულები, ამოპირქვავებული ხელისგულები მზის სხივებს შევუშვირე. მზეს შევყურებდი, ერთმანეთს მიტყუებულ ხელისგულებს სხივებით ვავსებდი და მერე ქუდში ვყრიდი.

გოგონა ჯერ გაკვირვებით მიყურებდა. მერე მის სახეზე ღიმილის ათინათი გაკრთა. საავდრო ღრუბლებით მოქურუხე-

ბული ციდან მზის სხივის გამოკრთომას ჰგავდა ის ღიმილი. ის გოგო პირველად ვნახე. გაღიმებული და, მგონი, ასეთი ლამაზი ღიმილიც პირველად ვნახე. და მან წკრილა ხმით მითხრა:

— გეყოფა. ქუდი უკვე აივსო მზის სხივებით.

ქუდი ორივე ხელით ავიღე, ფანჯარასთან მივედი და გაღიმებულ გოგონას თავზე ჩამოვაბერტყე.

— გმადლობთ! — მითხრა ქალიშვილმა. — ასეთი საჩუქარი ალბათ ზღაპრის დედოფალსაც არ ღირსებია.

და მის სახეზე უცებ წაიშალა ღიმილის კვალი.

ოთახიდან ტაბურეტი გამოვიტანე და ფანჯარას გარედან მივუჭექე. რალა არ ვუთხარი, მაგრამ ის გოგო დედამიწაზე ვედარ ჩამოვიყვანე. შენი სახელი მაინც მითხარი-მეთქი, ვკითხე ბოლოს და წამოვდექი. ნასტია მქვიაო, — საიდანღაც, ძალიან შორიდან მომესმა მისი მონისლული ხმა.

— ნახვამდის, ნასტია! ხვალ რა მოგიტანო საჩუქრად?

არაფერიო, თავი გადააქნია.

არც მეორე და არც მესამე დღეს იმ ქუჩაზე აღარ გამივილია. დღივითის შტაბში ვიყავი გამომახებული.

და როცა ორი დღის შემდეგ ნასტიას სახლს ვუახლოვდებოდი, შორიდანვე შევნიშნე, ფანჯარასთან მჯდომი გოგო ქუჩისკენ იმზირებოდა, თუმცა თვალეზში ისევ ტკივილის ნისლი უბოლავდა.

ეზოში შევედი თუ არა, მხიარულად შევძახე:

— ნასტია, დღეს მზესუმზირა მოგიტანე, აყვავებული მზესუმზირა. ჰო, ნასტია, ჩვენებურად ამას სწორედ მზეს უმზირა ჰქვია, იმიტომ, რომ ის მუდამ იქით იყურება, სადაც მზეა.

— რა ლამაზი სახელი დაგიჩქმევიათ, — ფიქრში წასულმა ჩაილაპარაკა და მზესუმზირის თავი გამომართვა.

— ჰო, ნასტია, მზე ხომ სიცოცხლის დედა და სათავეა. შენც ამ მზესუმზირასავით ლამაზი ხარ, შენც მუდამ სიცოცხლეს უნდა შეპხაროდე! ფანჯრის შიგნიდან ნასტია იჯდა, გარედან — მე. საუბრის ძაფი აღარ წყდებოდა, თუმ-

ცა იმ ძაფს ხანდახან კვანძები მოჰყვებოდა ხოლმე და გოგონას ხმის ჟღერებულ ნაკადული იმ კვანძებთან ფერხდებოდა და მლოკრდებოდა. მისი სიტყვები მისივე სულიდან ამოსულ ნისლში ეხვეოდა. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როცა თავის თავზე ვკითხავდი რამეს. მშობლებზე მითხრა, ომმა დამიხოცაო. ისიც თქვა, ამ ხატაში მე და ბებია ვცხოვრობთო. ბებია დილაადრიან მიდის სამუშაოზე და გვიან საღამოს ბრუნდებოა. ბებიას მეტი ახლობელი არავინ მყავსო. ის კი ვეღარ ვკითხე, ფეხი როდის და როგორ დაკარგა. შემეშინდა, ტკივილის ლოდი კიდევ უფრო არ დავუძმიმო-მეთქი.

შემდეგი მისვლისას ფანჯრის გარედან მჯდარმა, სამხიარულო ამბები ვუამბე. დიდი, ორმა თვალეზით შემომყურებდა, მის მიმკრთალ დაწვებზე ღიმილის პეპლების ფრთები ფართქალეზდნენ.

ის იყო წასვლა დავაპირე, რომ ეზოში მოხუცი დედაკაცი შემოვიდა. ნასტიას ახლად მოწველილი რძე მოუტანა. მე და ის მოხუცი ეზოდან ერთად გამოვედით. ქუჩაში გასულმა მორიდებით ვკითხე, ნასტიამ ფეხი როგორ დაკარგა-მეთქი.

ომის პირველ დღეებში საბჭოთა ჯარის უკანდახელი ნაწილები ამ სოფლის მიდამოებში შეჩერებულან და გერმანელებისათვის მედგარი წინააღმდეგობა გაუწვევიათ. გერმანელებს ავიაცია გამოუყვანიათ. ერთი ბომბი იმ ეზოში ჩამოვარდნილა, სადაც დედისერთა გოგო ნასტია და დედამისი ცხოვრობდნენ. მამა არმიაში ყოფილა გაწვეული. დედა ბომბის ნამსხვრევს მაშინვე მოუკლავს. სხვა ნამსხვრევს თეთროთმეტი წლის ნასტიასათვის მარჯვენა ფეხის ბარძაყი გადაუშხვრევია. გოგონა მეორე ფეხის მუხლშიც დაჭრილა. ბარძაყში გადამსხვრეული ფეხი მოუკვეთათ. და თურმე ნასტიას მარცხენა ფეხის ხმარებაც უჭირდა. ნასტიას მამა ომიდან აღარ დაბრუნებულა. ობლად დარჩენილი გოგო ბებიათ თავის ქოხში გადმოიყვანა, თავზე ფარჯანასავით ეკლებოა, — დაასრულა დედაბებმა.

მეხუთე წელი გადიოდა, რაც ნასტიას მიწაზე ფეხი აღარ დაედგა. თავისი პატარა ფანჯარიდან ტკივილიანი თვალებით გაჰყურებდა სამყაროს — არამიწიერს, შორეულსა და მიუწვდომელს.

მე უკვე მიყვარდა ნასტია რაღაც საოცარი სიყვარულით, გამოუთქმელი სიყვარულით მიყვარდა. მიყვარდა როგორც ჩემი შვილი, მიყვარდა როგორც ჩემი დაიკო, მიყვარდა როგორც ლამაზი გოგო, რომლის დანახვა გულს ძალუბად მიჩქროლებდა. მე მის საშველად სიცოცხლესაც არ დავიშურებდი. და რა საცოდავი ვიყავი, მისი შველა რომ არ შემეძლო...

ერთი გზაღა დამრჩენოდა — მის გულში იმედი და რწმენა გამეღვივებინა და გამეღვივებინა. დედამიწაზე დამებრუნებინა ქარიშხლისაგან გაძარცვული მისი სული.

და მე ნასტიას ვუამბობდი გაგონილ, წაკითხულ თუ ჩემგანვე შეთხზულ ამბებს, თუ როგორ აეხილა თვალი უსინათლოს, ფეხზე როგორ დიდგა ომში ფეხდაკარგული კაცი... შთაფარებდით, რომ სულით ძლიერ აღამიანს ყველაფერი ძალუბს, რომ ამ ქვეყანაზე ყოველგვარ სატიკვარს მოეძებნება საშველი, მითუმეტეს ახლა, როცა ომი დამთავრდა და ჩვენი ქვეყანა მდიდარი და ძლიერი გახდება.

ნასტია პირველ ხანებში დაეკვივებოდა მისმენდა. მერე და მერე იმედი და სიმხნევე დაეტყო.

და ერთ დღეს მან მთელი ხმით წამოიძახა:

— მე ვივლი! მე ვირბენ! მე ვიფრენ!

წამოიძახა და თავის მტიკინეულ ცალ ფეხზე გაბედულად წამოიძარბა.

პიასეჩნოდან გამგზავრების დღესაც შევუბრინე ნასტიას.

მისი თვალები უსახლგრო სივრცეში აღარ იყურებოდნენ. იქითკენ იყურებოდნენ, საიდანაც ჩემს გამოჩენას ელოდნენ. მოუსვენრად ტოკავდა სახეზე სიცოცხლის ნათელმოფენილი გოგო.

დავმშვიდობებ. მის მზისსხივისფერ წამწამებზე ნამის თვლები ჩამოსხდნენ. თავი მალე დაიმორჩილა. გაიღიმა, გაიბადრა და იმედიანი ხმით მი-თხრა:

— მშვიდობით, ძმაო! ჩემზე არ იღარდო. ხომ გითხარი: მე ვივლი, მე ვირბენ. დედამიწაზე ვივლი და ვირბენ!

იმ დღეს პირველად ვაკოცე. ბაგეზე ცრემლის სიმლაშე ამყვა.

და თან დასავლეთ უკრაინის პატარა, მივარდნილ სოფელში დარჩენილი ქალიშვილის ტკივილი და იმედი ვავიყოლე.

გაეის ნათელ კვალზე

ლევან დოლიძე

იმერეთის ცაზე პირველი თვითმფრინავის გამოჩენამ მოსვენება დაუკარგა ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცნის მკვიდრს, ოც წლის დავით მაჭავარიანს.

ძალზე უჭირდა ახლობლებთან დაშორება, მაგრამ სხვა გზა არ იყო: ყველაფერი გულმოდგინედ აწონ-დაწონა, აიკრა გულა-ნაბადი, მოულოდნელად მიატოვა მშობლიური კუთხე და ორენბურგის მფრინავთა სასწავლებელში გაემგზავრა.

არჩეული პროფესიის სიყვარულმა და მონდომებამ თავისი გაიტანა. დავით მაჭავარიანმა წარჩინებით დაამთავრა საავიაციო სასწავლებელი და ბელორუსიის ქალაქ გომელში დაიწყო სამსახური. ახალგაზრდა ლეიტენანტი სამამულო ახალი საბრძოლო თვითმფრინავების ერთ-ერთი გამომცდელი იყო.

ხელმძღვანელობა დიდად აფასებდა შეუპოვარ და საქმეში დაოსტატებულ მფრინავს.

გომელში დავით მაჭავარიანი დაუახლოვდა და ცხოვრების მეგობრად გაიხადა რუსი გოგონა სიმა კუნაევა, 1929 წელს მათ შეეძინათ შვილი, რომელსაც კონსტანტინე დაარქვეს.

დავით იმავე წელს დაიღუპა.

ერთ-ერთი გამოცდის დროს, საბრძოლო თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა. დავითს შეეძლო თვითმფრინავი მიეტოვებინა, მაგრამ ქვევით ქალაქი გომელი მოჩანდა თავისი მრავალათასიანი მოსახლეობით.

დავით მაჭავარიანმა ცეცხლმოდებული თვითმფრინავი ქალაქს გაარიდა და გამირულად დაიღუპა.

კონსტანტინე ორი თვის იყო, როცა დაობლდა. დედის მოგონებებმა, იმერეთის წარმატებულმა ბავშვობის წლებმა, კონსტანტინეს მამისა და მისი პროფესიისადმი სიყვარული გაუღვივა.

კონსტანტინე მაჭავარიანის ოცნებას საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შეესხა ფრთები.

იგი ივონებს, როგორი კრძალვით მივიდა დედასთან, როგორ აუწყა, რომ სურვილი ჰქონდა, მამის კვალს გაჰყოლოდა — მფრინავი გამხდარიყო. დედამ გზა დაულოცა შვილს.

მოსკოვის საავიაციო სამხედრო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ კონსტანტინე მაჭავარიანი სხვადასხვა ადგილას მსახურობდა. იგი ღრმად გაეცნო სამამულო საავიაციო ტექნიკის მიღწევებს. დღითი დღე ხვეწდა უმაღლესი პილოტაჟის ხერხებს, იმალებდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონეს.

მისი ადამიანური თვისებები, ავიაციის უმაღლესი ტექნიკის ორმა ცოდნა, შემართება, გამბედაობა, ბრწყინვალე საფრენოსნო ოსტატობა — სარდლობას შეუმჩნეველი არ დარჩენია.

კონსტანტინე მაჭავარიანი ჯერ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში განლაგებულ საბჭოთა ჯარებში მიავლინეს, ხოლო შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა და გერმანულ ახალგაზრდებს შორის გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისათვის იგი გერ-სსრ კავშირის საზოგადოების საპატიო მედლით დააჯილდოეს.



სხვადასხვა დროს კონსტანტინე შეხვდა და ახლო გაეცნო თანამედროვეობის დიდ სახელმწიფო მოღვაწეებს: ფიდელ კასტრო რუსს, იანოშ კადარს და სხვებს.

მაღალი საბრძოლო თვისებებისა და სამამულო სამხედრო მანქანების წარმატებით ათვისებისათვის, კონსტანტინე მაჭავარიანს მიენიჭა სამხედრო მფრინავთა უმაღლესი წოდება — „სსრ კავშირის პირველი კლასის სამხედრო მფრინავი“.

თეორიული ცოდნის განსამტკიცებლად კონსტანტინე ჟუკოვსკის სახელობის უმაღლეს სამხედრო საავიაციო აკადემიაში მიავლინეს.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, 42 წლის კონსტანტინე მაჭავარიანს ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. იგი ჯერ ოდესის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ დანიშნეს, შემდეგ კი მოსკოვში გაიწვიეს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ამ უბანზე იგი დღემდე მუშაობს.

მოსკოვში კონსტანტინეს ხშირად აკითხავენ ახლობლები საქართველოდან. მათი მოსვლა, ოჯახის ყველა წევრთან ერთად, გენერლის შვილიშვილს — პატარა კონსტანტინესაც ახარებს.

მაჭავარიანების ოჯახის ხშირი სტუმარია კონსტანტინეს მამის, დავითის, სიყრმის მეგობარი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

გენერლის დედა სიმა მოწიწებით ინახავს ყველა ნივთს თუ პორტრეტს, რომელიც მისი მეუღლის ხსოვნასთან არის დაკავშირებული. მათ შორის არის უჩა ჯაფარიძის მიერ დაწერილი დავით მაჭავარიანის პორტრეტიც.

გაბრიელ ჯაბუანური

თხუთმეტი წელი გავიდა გაბრიელ ჯაბუანურის გარდაცვალებიდან. წავიდა ჩვენთან დიდებული კომედი, უმწყობრა თავისი ფიზიკური არსებობა და დატოვა კვალი, რომელსაც წლები ადვილად ვერ შეიხეხა. დატოვა „ხმისი სულისა“, რომელიც კარგა ხანია გამოვიდა „ფოტოგალი მთების მღვიმედან“, იმთავითვე მიიძვინა ქართული ხალხის საერთო ჟურნალდება და მრავალრიცხოვანი თაყვანისცემლის საკუთრებად იქცა...

გაბრიელ ჯაბუანურის კომედიის არაერთი საჩინო ნიმუში დღემდე სრულიად უცნობია მკითხველთა ფართო წრისათვის, რაშიც, ნაწილობრივ, თვითონ ავტორს მიუძღვის „ბრალი“...

შურნალ „დროის“ მკითხველს ვთავაზობთ გაბრიელ ჯაბუანურის გამოუქვეყნებულ ლექსებს.

ამირან არაბული.

შენ შემოდგომის მახვილს ალესილს უმღერ და გულზე გესაღბუნება, ვთქვათ, ჩვენ ვერ ვწვდებით შენს მწუხარე სულს, თუ როგორ ეტრფი მკვნიესარ ბუნებას.

მაგრამ გაზაფხულს ცივად თუ ხედები და თუ ეს გრძნობა ჭეშმარიტია, თუ ოდეს მინდორს მწვანე უხდება, ეს შენთვის ოდენ სევდის რიღება.

თუ მშვიდად უმზერ ზამთრის ნაცინვარს, როგორ ქრება და ძალა ერთმევა, მაშინ არ ვიცი, შენ თუ კაცი ხარ, ანდა მაგ გრძნობას რა დაერქმევა!

ყურს შორითვე შეეპარა შენი ხმის ნარნარობა, მოვყვებოდი თავქვე არაგვს და შემოგზვდი წყაროსთან, ნაწნავები ოქროცვარა გეხვეოდა საროსტანს. საღმის შემდეგ დაბლა დარჩა შენი მზერა დახრილი, აღარ ხლეჩდა ბავის მარჯანს ტკბილი ამოძახილი, ველს ეხვია მწვანე ფარჩა და ურიცხვი ნახირი.

ეს ზაფხულიც დაილია, როგორც შენი სიქალწულე, დღენი კიდევ გაივლიან, მოედება ველებს კეთრი. შავ საფლავში ყვითოთმება შემოდგომა გინახულებს, ისიც შენთან გაცივდება და ზამთარი მოვა თეთრი.

სწრაფი არის ცეცხლი ჟამთა, ის ყველაფერს სწვავს და დაგავს, გაზაფხული შეცვლის ზამთარს,

მოეხვევა მთათა ყელებს. ქარს სიმკაცრეს აპატიებს, ნაკადულებს შეხსნის ლაგამს, გააცოცხლებს ია-იებს, შენ კი ველარ აგაყენებს.

უკვე ამწვანდა ხნულები, ჭეჭილი შენაღერია, ყვავილნი ცვართა სხურებით საფლავში ჩამოგმურეიან, ის შენი ნაფხურები დღესაც მიხდვრებზე სწერია.

კვლავ გეძახიან ველები და მთები ბალახიანი, ყანების ცისარტყელები, ნაკადულები ხმისანი, სურთ შენი ამეტყველება, სიმღერა ომახიანი.

მზე რომ გვიცინის, ამ დღეში ყველა კენჭიც კი ბროლია, მაგრამ ჩვენ შორის თავხედი, ავგული მტერი გვეყოლია, ის შენზე ხელის ამღები საფლავშიც ჩასაქოლია.

1938.

სთვლემს მთვარის შუქზე სასაფლაოს თეთრი მალლობი, აქ ყოველ ღამე ჩამოგტირის ორი ოლოლი. ფრთებჩამოყრილი შენს დაკარგვას გულით ნაღვლობენ, სთვლემს მთვარის შუქზე სასაფლაოს თეთრი მალლობი. მოგიგონებენ წმინდა ქალწულს, როგორც მახლობელს და არ ჰკარგავენ შენი ხილვის უცნობ მოლოდინს. სთვლემს მთვარის შუქზე სასაფლაოს თეთრი მალლობი. აქ ყოველ ღამე ჩამოგტირის ორი ოლოლი.

1939.

მოსდო სახნისი ბინდის გუთანმა მთებს და ქარაფებს, ტყეს და ფართო ველს, მე მარტოდმარტო ისევ გულთან ვარ და ცას შევჩივი ჩემს სიმარტოვეს.

ზეცა ყრუა და რა ჟამს ჩაელავს, სკდება მეხი და დელგმა მიღელავს. ვით ჩარგალელი ვაჟა-ფშაველა, ვიღებ ფანდურს და ვიწყებ სიმღერას...

ვამბობ, რომ სივრცე დანათენთია, რომ ღამეებმა სევდით დამთოვეს, რომ მე ჩემს გულთან კვალად კენტი ვარ და მთებს შეგტირი ჩემს სიმარტოვეს.

1946.



გაბრიელ ჯაბუანური

ახლა რომ ვილაც მაგრად მიყვარდეს, დრო არ მათოვდეს საპყარს თებოდა, ეს კარდია თუ რალაც მიკარდი, ხომ სიზმარივით განქარდებოდა.

ხომ გაპყვებოდნენ არწივის მართვეს ფრენაში ფიქრი, გული თუ მუზა, ხომ მექნებოდა ახლანდელ მარტვილს ზეაწეული ხომალდის ლუზა.

ხომ გავაცლიდი სიბერეს ღდინსა, დღეს რომ ამრიგად მომილო ჩარა და გავხედავდი იმედით, ღინჯად ჩემი ცნობრების გასაველელ შარას.

1968.

შენს შესახებდრად

ასე მგონია: ადგეხარ შარას და ჩემკენ წყნარად მოემართები. მეც შენ მოგელტვი, — შევხვდებით ჩქარა,

თუ სავალს უფრო მოემართები. ქრის და წინ ზღვაა ნისლის არვესი, ჩვენ მაინც ვებრძვით მქუხარ სტიქიონს, ვესწრაფვით ერთურთს, ის კი არ ვიცით, სამზეო შეგვყრის თუ საიქიო... ოლონდ შენ შეგვხვდე, განა სულ ერთი არ არის, რა მზე დაგვესარკმლება, იყოს საწუთრო, ანაც სულეთი, ჩვენ ერთად მყოფებს რა გვესაქმება?!
1948.

მიპატიჟება

მზექალო, ასვზის დაგმოდღერე, სიტყვას მიუპყარ ყურები, ხან ლხინსაც უნდა დაჰმოყვრდი, სულ სახლს რომ ემსახურები. ჩვენკენ გადმოდი, კარგო, დღეს, ლუდით ავავსოთ სურები, რას ჩააცივდი საძროხეს, ჭირად გაგინდა ფურები. თუ დღესაც აღარ გადმოხვალ, ძალიან დაგემღურები!

1951.

— თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ესოდენ დამიფასეს მოკრძალებული წვლილი სამამულო მეცნიერების განვითარებაში, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ეილ სხნიაშვილმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით. მეცნიერს ეს დიდი სახელმწიფო ჯილდო მიენიჭა სამშენებლო მექანიკის განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების 60 წელთან დაკავშირებით.

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ეილ ალექსის ძე სხნიაშვილმა გაიარა გზა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კათედრის ასისტენტობიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნობამდე. სწავლულმა დიდი წვლილი შემატა ქართული მეცნიერების განვითარებას, მისი მატერიალურ-საკვლევო ბაზის განმტკიცებას, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის გაღრმავებას, სამეცნიერო კადრებისა და სახალხო-სამეურნეო კადრების მომზადებას. თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერს გამოჰქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი მეცნიერული შრომა. სპეციალისტთა მდიდარი შეგროვება პოვეს მისმა მონოგრაფიებმა — „თავისუფალ რბევიებზე დრეკად სისტემათა გაანგარიშების ინჟინრული მეთოდი“ და „დრეკად სისტემათა რბევიები“.

მეცნიერის გამოკვლევები ეძღვნება ცვლადპარამეტრებიან დრეკად სისტემათა დინამიკური გაანგარიშების ორიგინალური მეთოდის შემუშავებას, რომლებიც ფართოდ გამოიყენება დინამიკურ და სეისმომდეგობაზე რთულ ნაგებობათა გაანგარიშებში და სეისმომდეგობაზე რთულ ნაგებობათა გაანგარიშებში და სეისმომდეგობაზე რთულ ნაგებობათა გაანგარიშებში.

ლური მეთოდის შემუშავებას, რომლებიც ფართოდ გამოიყენება დინამიკურ დატვირთვისა და სეისმომდეგობაზე რთულ ნაგებობათა გაანგარიშებში და სეისმომდეგობაზე რთულ ნაგებობათა გაანგარიშებში და სეისმომდეგობაზე რთულ ნაგებობათა გაანგარიშებში.

ქართველი სწავლულის ნამუშევართა მდიდარი მეცნიერული დონე არაერთგვარადაა აღუნიშნავთ დასავლეთ ევროპაში, ინგლისში, ბულგარეთში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, სადაც მას მეცნიერული მოხსენებანი გაუკეთებია.

ეილ სხნიაშვილი არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საბჭოს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სეისმოლოგიისა და მშენებლობის სეისმომდეგობის საუწყებატორის საბჭოს, საბჭოთა კავშირის წინასწარდაძაბული რკინა-ბეტონის სახელმწიფო კომიტეტის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მკითხველთა სახელით გულითადად ვულოცავთ მეცნიერს, პედაგოგსა და მამულიშვილს საპატიო სახელმწიფო ჯილდოს და ვუსურვებთ ახალ წარმატებებს ცხოვრებასა და შრომაში სამშობლოს სადიდებლად.

3555 ჩორღალი

კითხვები

● შამშეს რომ გამოვლიდა, დღე კარგა გვარიანად იყო წამოწეული. ამდენ ხანს რამ ჩამაძინაო, გაიფიქრა და ოთახში ერთგულ სტუმარივით შემოსულ მზეს თვალი გაუსწორა.

საბანს ყურში წაატანა ხელი, გადაიძრო. იატაკზე ფოსტლებს ფეხით დაუწყო ძებნა. ნახევრად მელოტი თავი გააკანტურ-გამოაკანტურა, დამენათევი დღე თითქოს მისწიმოსწიაო, ამოიხვნეშა, მერე შეუკრეჭავ თეთრ წვერს თითები შეუყო და ჩამოივარცხნა ჩამოიწყაზარა...

ძებორციელის ჩამი-ჩუმი არ ისმოდა სახლში, ერთი კია, სამზარეულოში გამომწყვდეული რადიო ქადავად იყო დავარდნილი...

— ბესო, ბიჭო!.. სოსო, ბიჭო!.. — თავის თავს უფრო შეეხმინა შამშე, ვიდრე შვილიშვილებს, თორემ კი მიხვდა, ასე დღე-მზე შინ არავინ იქნებოდა.

— გაკრეფილან! წასულან! შვილი სამსახურში იქნება, ბიჭები — სასწავლებელში... კრელ-კრელი მალაზიების შემყურე რძალს შინ რა დაუყენებს გულს... რა ძილი გამოიყვანა ამ დილაძალზე, რომელი სალოცავის წყრომა იყო, ეს სიზმარი რომ მენახა. ეშმაკმა ნამდვილად ძილის გულს მომკიდა... კომპარი იყო...

შამშემ აწკრილებულ ტელეფონს გახედა.

— ქვეყანა გაეშმაკდა, კაცო, რა არ გამოივინეს... — ხმამალა ბოხბოხებდა შამშე.

ერთი კიდევ გაიწკრილა ზარმა.

— გისმენთ, გისმენთ... შამშე ბაბუა ვარ... ბესო სასწავლებელში... სალამოს მოვა... ის გოგოა, დღე ერთი და ცხრაჯერ ურეკავს... სულ ბესოს ურეკავს... ერთი დრო კი უნდა მოჭამოს, კაცმა, — გააგრძელა ლაპარაკი, როცა ყურმილი დაკიდა.

თითქოსდა წამიერად მიავიწყდაო სიზმარი, ყურმილს უშვა თუ არა ხელი, ისევ სიზმარს აჰყვა.

— ვაა, კაცო, რა სიზმარი ვნახე!.. ტყუილი იქნება! ნამდვილად ქარის იქნება სიზმარი!.. ისე რავე გაუფუჭდა ქვე-

ყანა, კაცი ისე წაახდინოს, იმნაირი რამე აკადრებინოს! ტყუილი იქნება!.. ნეტამც აგრე იყოს, მარა, ანდაზა რომ ამბობს, ბებერი კაცის სიზმარიც დაიჭერებაო? რა შერები ახლა, შენ ჩემო თავო, ჰა! — ისე ხმამალა ლაპარაკობდა შამშე, თითქოს ოციოდ მსმენელი აგერ ა, მოწაფეებივით სკამებზე ჰყავს ჩამომხდარიო.

შამშე ფანჯარასთან მივიდა, ქალაქს გახედა, ქუჩაში ბორბლებზე შემდგარი რკინა და აღამიანი ტიანჭველასავით ირეოდა.

— ჩავალ, ჩემი თვალით შევამოწმებ... რა ხალხი მოესხა ამ საწყალ მიწას!.. — დაიკრა ხელი ხელზე შამშემ და ბაზარში წასასვლელად მოემზადა.

სამზარეულოში რადიო ახლა „მოუყეფე ჩემო მურას“ მღეროდა.

— ესეც ასე! ნამდვილად ჩაკეტილია, კი! — ერთხელ კიდევ შეამოწმა შამშემ კარი, იბრუნა პირი და კიბეს დაუყვა.

სადარბაზოდან გამოვიდა. აქეთ-იქით ცაიხედ-გამოიხედა. მერე მარჯვნივ შებრუნდა და ტოტუტუარს გაუყვა.

— შამშე ბაბუ, შამშე ბაბუ! — ზურგიდან ხმა დაეწია შამშეს, შეჩერდა და თვალი უკან იბრუნა.

უფროსი შვილიშვილი, ბესო, მორბოდა ძახილით.

— ჰო, კარგია, რომ მოხვედრი, როგორ მიცანი ამდენ ხალხში მაგ სიშორიდან? — გაუყვირა შამშეს.

— ხომ გაგიგონია, თვალნი ქორებულ მხედველიო... ისე, რა მაგის პასუხია და სად მიღიხარ ასე გამოწყობილი?

— საყვარლებში მივდივარ, აბა, რავე გგონიათ თქვენ, რომ დამტოვებთ მარტო, ოთხკედელშია გამოკეტილი, არ იცოდით, ასე რომ ვიზამდი? სულ შენ რომ გირეკავენ გოგონები, ის ხომ კაია?! მეც მინდა ამ სიბერეში გავალა...

— ხუმრობა თავის გზით იყოს და მართლა სად მიღიხარ?! — გაკვირვებული შეეკითხა შვილიშვილი.

— ჩემი ხნის კაცის სიზმარი დაიჭერება, აბა, ბაბუა, ასე უთქვამთ ძველებს, ჰოდა, შე-

ვაიმოწმო მინდა, წინაპრების ნათქვამი და ჩემი სიზმარი მართლა მიუღდება თუ არა ერთმანეთს... ხარჯი ხარჯია და შენც გამოძევი, გზა არ დაგმენს და ამხელა ქალაქში სადმე არ დავიკარგო, — ხუმრობდა უცბად საქმეზე გადავიდა შამშე.

— კი მარა, რა სიზმარი ნახე ასეთი უსაშველო! — დაიბნა ბესო.

— თბილი სახლიდან რომ ძაღლივით გამომავლო ქუჩაში და იქით მიმარბენინებს, ხომ ხელავე ამას?! — ისე შეკრა შამშემ წარბი, ბეჭედის დასმას ათწილად სჯობდა.

— ალბათ, ძილში ქარი შეგებარა, ზენა ქარი, შენც ასე არ იცი ხოლმე თქმა? — ხუმრობის გავრძელება სცადა ბესომ.

— რა ქარი, რი ქარი, ნამდვილად ვნახე სიზმარი და გადავირიე კაცი!.. ჩემი უმცროსი ძმა ვნახე, ნაბოლარა, ბაზარში იყო და სიმინდის ფქვილსა ყიდდა, აბა, კაცო!

— შე კაცო, მაგაზე გადაირიე მერე? რა არის მაგაში ცუდი, ანდა, პირველად ყიდის თუ რა!

— კაცო, სიზმარი ვნახე ცუდი-მეთქი, ვითხარი შენ! ყიდოს, ვინ მამაძალი უშლის, მარა... წავიდეთ ახლა, თუ მოდინხარ! — ხელი ჩაიქნია შამშემ.

— კი, მოვდივარ... რომელ ბაზარში მივდივართ, მანქანას გავაჩერებ. — ბესომ თვალი მოავლო ქუჩას.

— მოდი, კაცო, აქეთ, თუ მომყვები, გამოძევი, როგორც წავალ, ისე იარე, თუ არა და უკან მიბრუნდი... გზამ ეგება გამიქარვოს ავი სიზმარი... ჰო, ბაზარი... ბაზარი... აბლაბუდად გამოგონებული ჯეილები დააბნევთ კაცს... დიდი ბაზარი იყო, დიდი... სიზმრის მიხედვით რომ ვიმჯელოთ, „დეზერტირსკი“ რომ ქვია, ის ბაზარი იყო... ჰო, კი, ის იყო... ახლა არ ვიცი და ადრე მაგნაირი გულლია ბაზარი მეორე არ იყო ქვეყანაზე...

— ბაბუ, შენ ისე ლაპარაკობ, სიზმარი კი არ გინახავს, პირდაპირ ენა მოუტანია ვილაცხს და ეგ არის... მოიცა, მანქანა გავაჩეროთ. — ბესომ ბაბუას მკლავში წაატანა ხელი.

ვერტმფრენმა ისე ახლოს გადაიხრივინა ქუჩის გაყოლებაზე, თითქოს იქვე, ჭადრის ხეზე იჯდა და ვილაცხმ ქორის შესაშინებელი ჰაუ-ჰაუს ძახილით ააფრინაო...

— ვითხარი მე შენ, სიარულმა ეგება გამიქაროს-თქო! — გამოძევი მერე თუ მოდინხარ, თვარა გზას მეც კი გავაგნებ. რაჭველებმა ამერიკაში კოლუმბს ჩაასწრეს და ახლა მე „დეზერტირსკი“ ვერ ჩავალ?

ჯერ კიდევ მამდევს მუხლი, ჩემმა მზემ! — შამშე წამით შეჩერდა, კულხელა დააწია თვალი ვაღმა გასულ ვერტმფრენს.

— ისე ახსენე კოლუმბი, თითქოს ერთად ყოფილიყო ტურისტული საგზურით ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის შემოვლაზე, რა იცი, ქრისტეფორე ვინ იყო? — გაეცინა ბესოს.

— კოლუმბიც ვიცი და აგერ აქით, პეტრე დიდიც... უფრო მეტი ვიცი: პურში და ღვინოში არ უნდა მოატყუო კაცი!.. მარტოში არ უნდა მოატყუო კაცი!.. ტყუილი რა კაცის საკადრისია!.. კოლუმბიო, კოლუმბი კი არა, თუ გინდა, მიკლუნო-მაკლაის მოღვაწეობას ჩამოგივთვლი თითებზე და დერჯინის ამბავსაც ზედ მიქაყოლებ... ის კი არადა, ციოლკოვსკი რომ უკულმა შექვიდა საქმეს, ისიც ვიცი მე! პირდაპირ მოუნდა ვაღმა გასვლა.

ცაში გაფრენა. კუდიდან გამოსროლილი ბოლით... ეტყობა, მაგათ სოფელში არა სახლობდა ნემსიყლაპია ბუზი, აი, თავკომბალა ბუზს რომ ეძახიან... ის რომ ენახა, მორჩენილი იყო ყველაფერი... ჩვეულებრივი მწერია, მკერდი მსხვილი, კუდი გრძელი და წვრილი, ბეჭებზე ოთხი ფრთა აქვს, თუ არ ვცდები, რომელი ფრთებიც ზევით-ქვევით კი არ მოძრაობენ, უჩვეულოდ, წრიულად ტრიალებენ. ერთი სიტყვით, დაიკრავს ფრთას ფრთაზე და აფრინდება... ციოლკოვსკის რა ვუთხარი მე და მის დაკვირვებას, ის ოჯახ-აშენებული მაინცდამაინც ქათმებს დაეძაკა, ქორსა და შევარდენს დაუწყო კულში დევა... ნამდვილი მფრინავი ხალიჩაა, ახვალ-დახვალ, ახვალ-დახვალ, სადაც გინდა, იქ გაჩერდება, ჰაერი იქნება ეს თუ მიწა. იოლი არაა ცხოვრების გაგება, ერთი ხელის დაკვირვებით არ ხდება ყველაფერი, შეიძლება ჯერ ძნელი მისაგნები გამოიგონო და ჩახვდე ჭკუაში, მერე იოლი და თითქოს ნაცნობი აღმოაჩინო, მაგრამ ჩემი აზრით, ჯერ მაინც ვერტმფრენი უნდა გამოგონებინათ, მერე კოსმოსის ეშმაკი... ყველაფერი ვიცი მე... დღემოსწრება ხაბაზი კაცი ვიყავი და ეგ შემეშლება ახლა?.. პოლიტიკაში მე რომ ვერკვეოდი, ბარე ორ ჩემს გამგებს ტყემალზე ეძინა მაშინ!.. მე რომ ცომის აყვავების მოლოდინში ქალადი მაქვს ნაკითხი, ზოგ-ზოგ პროფესორს სიზმარში არ მოელანდება... ეგეც არ იყოს, მე რომ თონებზე შოთი მაქვს მიკრული, იმდენი ვარსკვლავი შეიძლება არც მოითვალოს ცაზე... სად იპოვი დამთვ-

ლელს თვარა, კი ბატონო, ვინ მამაძალი მერე... არ მიტხრა ახლა, ჩემი მათემატიკის მასწავლებელი დავითელისო, თვარა, მივბრუნდები უკან და მორჩება ყველაფერი! — გააფარჩხარია გაშლილი ხელის მტკვნელები შამშემ.

ბესოს ხამაძალი გაეცინა. — ჰო, კი, იცინე შენ...

— ლურსმანი მინდაო, რომ იძახდი, ამ მაღაზიაში იყიდება. — ბესომ ბაბუას მაღაზიისკენ მიანიშნა.

— რა მელურსმება, თუ კაცი ხარ, ჯერ ბაზარში მაქვს საქმე! წამო, წამო, მაგას მერე ვიყიდი, გამოზაფხულამდე სოფელში მაინც არავინ გამიშვებს და... ისე, რაღა მაინდა-მაინც მაგას დაიტაცებს ხალხი...

— ისე გულდაჯერებით მიდინხარ, ვითომ დაბარებული ჰყავდე ვინმეს, ამა და ამ სათზე მოდი შამშე ბატონო...

— კაცო, ჩემი ხნის კაცის სიზმარი თუ დაიჯერება, იმის გაგება მინდა... ღმერთმა ქნას, სიზმარი არ ამიხდეს, თვარა, სოფელ-ქვეყანას წირვა აქვს გამოყვანილი და ეგ არის... მეტი მტერი არ ეყოლება ამ მიწა-წყალს! თუ დაქცევა უწერია აქაურობას, მაგაზე მეტი დამქცევი სხვა არავინ არ მოვა აქ; ეგ არის ბოლო ეშმაკი! — წარბშეკრული ელაპარაკებოდა შვილიშვილს შამშე და ხალხით სავსე ტროტუარზე გულზე ჯავროდებულს, გულმოდგინედ მიაბიჯებდა.

— მაინც, რა ნახე ასეთი უსაშველო ჰა?

— ერთის ეშმაკობა, მეორეს აფუჭებს, მეორისა — მესამეს და წავიდა ხელიდან ქვეყანა... — შევიდეთ ბაზარში და იქ გამოჩნდება...

— სიზმარი? — გაეცინა ბესოს.

— სიზმარი კი არა, ჩემი უმცროსი ძმა, რაჟიკო, ნორიოში რომ გადმოსახლდა, რაჭაში რომ ვერ დაეტია, ბაჯინეს ტერიტორია რომ არ იყო... ჩემი რძალი ანძიყუხეა ჩამოსაკიდებელი, ძმებს აგვირ-დაგვირია ოჯახები, კინაღამ ძმობაზე აგვადებინა ხელი... თუმცა, ალებული არაა? რაღა ძმობაა, წელიწადში ერთხელ ძლივს ვნახულობთ ერთმანეთს... ზოგა ქალი ტვინს ურევს კაცსა და ქვეყანას...

— რაჟიკო ბაბუას რას ერჩი?

— მე არაფერს არ ვერჩი, თავისი თავი ერჩის... და საერთოდ, კაცი რომ თავის თავსა მტრობს, მეტი მტერი აღარც კი სჭირდება...

... იმდენი ხალხი და მანქანა მიდი-მოდოდა ბაზრის ახლოს, ცხრაფად გადანასკვულ ქუჩებზე, ჭიანჭველასავე კი

გაუჭირდებოდა ფეხის აქცევა... — ფქვილი სადაც იყიდება, იმ მხარეს წავიდეთ, დახლოვან-ახლოს მისვლა აქ შეიძლება, შორიდან უნდა შევხედოთ, სიჩქარე ანეტა ისეთი მამაძალია, დაყნოსავს ჩემს ბაზრობას, გაიგე, ბიჭო, ამდენ ხმაურში თუ გაგიმეორო კიდევ? — ცერად შეხედა ბაბუამ შვილიშვილს.

— შორიდან ვუყუროთ და მოვუსმინოთ, რომ მეუბნები, ჯერ ერთი, რა იცი, ბაზარში რომ იქნება დღეს შენი ძმა! მერეც — გაქვს კი შორიდან ცქერის თვალი და შორიდან მოსმენის ყური? — ჭადრის ქვეშ შეჩერდა ბესო.

— რაჟიკოს რომ ვუყურო და მოვუსმინო, იმდენი კი მაქვს, აბა!.. წამო, თუ მოდიხარ, ბიჭოს! — გაჯავრდა შამშე.

... ბაზრის შესასვლელში ურიკებით გაწყობილი ქურთების ქარავანი იდგა. იქით მეყვავილები და მეცოცხეები იყვნენ ჩამწკრივებულნი. მარცხენა კუთხისაკენ დენის ძრავაზე ჩართული სალესი ქვები მაკრატლებ-დანებს ფხას უსინჯავდნენ... ხელმარჯვნივ კი რამდენიმე დახლი გოჭქათმით მოვაჭრეებს მიესაკუთრებინათ... ხორცეულის ბოლო დახლის კუთხე სურსათვაჭრობის თევზის განყოფილებას ეკუთვნოდა. წყნარ ოკეანეში დაჭერილი მსხვილთავიანი და გრძელკუდა გაყინული თევზი იყიდებოდა...

მიღეთი ხალხი ერთ უზარმაზარ კოლოფში ჩაყრილ სხვადასხვა ჯურის მწერივით ნაირფრად ირეოდა საკოლმეურნეო ბაზრის დახლებს შუა. ჯიბესქელი მამაკაცი დიდრონ-დიდრონი კალათებით მიდი-მოდოდა; სხვათაშორის, დედაკაცების უმრავლესობასაც ეტყობოდათ, თუ რა იოლად მოულობდნენ მათი ქმრები გარე ჭიბის ფულს, ჭიბელარობობა ხომ მტკერივით დადებოდა ბაზარს...

— კუჭი რომ არ ქონდეს კაცს, ქვეყნის მშვიდობას ძალი ვერ დაყუფდა! არ დაყუფდა!.. ვერ გაუბედავდა!.. კუჭი დაწანწალებს კაცს ქვეყნის კიდიდან კიდემდე! ქვეყანაზე კუჭი რომ არ მამაძალობდეს, სიცოცხლეზე ლამაზი არაფერი არ იქნება! — თავისთვის ჩაილაპარაკა ბოლო სიტყვები შამშემ.

ბაბუა და შვილიშვილი ხორცის განყოფილებასაც ჩასცდნენ, რძის ნაწარმის გამოიღველთა დახლებიც შეუხედავად ჩაიარეს, თავლულ-ცვილულთან შეჩერდნენ და იქედან მოათვალაირეს ორიოდ დახლის იქით, თავიდან ბოლომდე, ერთი დედმაშვილი-

ლებივით თეთრ წინსაფრებსა და სამკლაურებში გამოწყობილი ფქვილით მოვაჭრენი.

— ეგერ, ეე, რაჟიკო, შეხედე, მეოთხეა ზევიდან! იმდენი ხალხია დღეს ბაზარში, შეიძლება კაცმა მართლა ვერ იცნოს მძა, ცოტა ახლოს მივიდეთ! — იდაყვით უბიძგა ბესომ ბაბუას.

— ამდენი ხალხი საიდან მაინც, კაცო, ღმერთის რაიმე დღიაწველი ხომ არაა და სათვალავში ვერ გავიგეთ... მოიცა, ბაბუ, მოიცა, ანეტა დავინახე ეგერ, ჩემი რძალი, რავა ჩამოუშვია ცხვირი ინდოურივით, მაგას წაეკიდა ცეცხლი ჩემი ძმის კაი ყოფაში, მაგასა... ბერწი და არკუნი გამოდგა, ეგ შობელძალი... ვისთვის უნდა ეგ ფული, ვიცოდე მაინც... რისთვის მიწვალე მძას...

— კი, მაგი ანეტა ბებიაა, ცოტა ზევითაა რაჟიკო ბაბუაც, აყოლე თვალი დახლსა და ნახე.

— ანეტა ბებია კი არა, ჯანდაბა ბებიაა მაგი, შობელძალი...

— კი მარა, ასე ცალ-ცალკე რატომ დგანან? — გაკვირვება ვერ დაფარა ბესომ.

— რა ვითხრა, აბა, მეც არ ვიცი, ანაირი რაიმე მეც არ მინახავს... ერთი შიში მაქვს, სიზმარი არ ამიხდეს... დროული კაცი ვარ და ჩემი ხნის კაცის სიზმარი რო დაიჯერება, არ მინდა დავიჯერო, აბა! — სინანულით თქვა შამშემ.

ის იყო შამშემ მუხლი მოინაცვლა, რომ ნაცნობი ხმა ზედ ყურზე წამოადგა:

— აქეთ, აქეთ, რაჭული ფქვილი, სოფელ ბაჩიხეს ფქვილი, წყლის წისქვილზე დაფქული, აქეთ, თორემ გამოილია, აქეთ!..

— რაჟიკოა ეს, ძმის ხმას ერთის კი არა, ცხრა ბაზრის ხმაურში ვიცნობ! — ჩაიბურტყუნა შამშემ.

— გორის ფქვილი, გორული, ნაღდი გორული! — ისე წვრილად, კრინვით გასძახოდა ანეტა, შამშეს ყურამდე მიუსვლელი როგორ დარჩებოდა.

— უყურე შენ! — თითები მოიფშვინტა შამშემ.

— ლაგოდებური, ლაგოდებური!.. — გაიძახოდა იქით ვილაც.

— აბა, ბარისახო!.. — ბუბუნებდა მეათე.

— ბაბუ, ბარისახოშიც მოდის სიმინდი? — შეეკითხა ბესო ბაბუას.

— სიმინდს სადაც დათესავ, იქ მოდის, დამთესი მითხარი შენ, თვარა...

— ლაგატკითაა დათესილი, უსასუქო, მოუწამლავი, აქეთ, რაჭული ფქვილი, ვარდენას წისქვილის ნაწარმი, აქეთ,

აქეთ! — ისევ შემოესმა ძმის ხმა შამშეს.

— უყურე შენ, მაგ ღვთის გლახას? ხუმრობს კიდევ! იმ ძუკნამ ასწავლა ეშმაკობა! გესმის, რეებს იძახის? რაჭულიო, ლაგატკითაო, შურდულითაო, უსასუქო! ვაი, შენ ჩემო თავო და ძველი სინდისო! — მჯილი დაიკრა შამშემ.

— რა იყო, ბაბუ, რა მოხდა აქ უპატიოსნო და გულზე ხელის საბრაგუნებელი! ალბათ, ქება-ქებაში და თავის გამხნევებაში უფრო კარგად ყიდის, მუშტარი უფრო ეტანება, რა არის ქვეყნის დასაქცივი აქ! — რაჟიკოს დაცვა სცადა ბიჭმა.

— ეე, შენ რა იცი, ბალო! — ხელი ჩაიქნია შამშემ, მერე დახლს იქითა მხრიდან შემოუარა, მეფქვილეზამდე ოთხიოდ ნაბიჯი რომ დარჩა, შეჩერდა, მობრუნდა და ზურგით დადგა.

ბიჭი უხმოდ აედევნა ბაბუას.

— რა ღირს შენი ფქვილი, ქალო? — ერთი ჩაზულუქებული კაცი ომახიანად შეეკითხა ანეტას.

— მანეთანხევარი, მთელი დღეა ასე ვყიდი!

— რა ამბავია მანეთანხევარი, რა წყალი და დოლაბი მოგიცვდა ისეთი რომა... ტყუილია ნუ გამისიჩვენებ, დენისა!

— ამ ხნის ქალი ტყუილს ხომ ვერ გეტყვი, ჩემო ბატონო, წყლისა რა მოგახსენო და დოლაბი კი ცვდება... დენითაა დაფქული, მარა ნელი დენით... იმიტომ ვყიდი იაფად, თვარა... ძვირად და კარგი და წყლის წისქვილის, ეე, იმ რაჭველ კაცსა აქვს, იგერ რომ დგას, — ხელი გაიშვირა ანეტამ.

— ქვე შენი ჭირიმე, ფქვილია ეს? — შეეკითხა რაჟიკოს დაბალი, ბრტყელბეჭებიანი, მუცელჩუმა კაცი.

— დაცინვას ვინ მოუკლავს, შე კაცო, რაჭველი რო მოკლას... ისე, ქვე, ვილამ იცის, შე კაცო, კოსმოსში ავედით და ჩამოვედით და... ისე, ფქვილი ისეთი მაქვს, აბაშის სასუქიან ფქვილს გემოთი არ მიიკარებს, დედამიშვილს გეფიცები, ჩემმა მზემ! — რაჟიკომ ფქვილს სახვეტი წაპკრა-წამოპკრა.

ახლა მაღალმა, ზორზოხა კაცმა ჩამოუარა დახლს ზევიდან ქვევით, თითქმის ყველასთან შეჩერდა და უტყუარად გაიმეორა ერთი და იგივე მოძრაობა: ფქვილი სამი თითით აიღო, ენაზე დაიყარა, მერე სასაზე მიისრისა, ყბა გააქნ-გამოაქნია და ჩაყლაპა.

— მაგი სანამ ბაზრიდან გავა, ბარე სამ კილოს მაინც მოიმატებს, — თქვა ღიმილით



ბესომ, — ისე, რა გემო უნდა გაუგოს კაცმა ფქვილს, გადაგრევეს ეს ხალხი.

— გამგები გაუგებს, სიმწარეს გაუგებს, სიძველეს გაუგებს, რავა არ გაუგებს... — შამშემაც ჩაიღულუნა თავისთვის.

„რატომ ამბობს, გორულიო!“ — ახლა ეს ფიქრი გაივლო ბესომ.

— დენზე დაფქულია, აბა, გორში ერთი ლიახვი ჩამოგვიღოდა გვერდზე სოფლის იმედად და ისე გამოლიეს, რომ კი არ აგვაშენეს, მთლად დაგვაქციეს, მარტო რიყე, ქვა და ლოდი დარჩა, წყალი აღარ მოდის, სად წაიღეს იმხელა მდინარე, ღმერთმა უწყის, სიმაართლე ეს არის ჩემო დაო, — მაღალ, გამხდარ ქალს ელაპარაკებოდა ანეტა, — ჩემი იყოს, დაგიკლებდი, მარა მეზობელს ვენმარები და რა ვქნა, ასე ყიდის ის და რა გიყო, ჩემო დაო, ისე, წყლის წისქვილის იმ კაცსა აქვს, აშენდა, ეს ორი დღეა, მთელი ხალხი მაგას ეხვევა, რა წყალი ჩამოუღის მაგნიარი რაჭაში, რა თაფლი აცხია მაგის ფქვილს, ღმერთმა უწყის.

რძლის ლაპარაკი ყურის ძირში ესმოდა მახლს.

შამშემ გულის ფიცარზე მჯილი ორჯერ დაირტყა.

ბესოს დაბნეულობისაგან ენა ჩაუვარდა.

— რაჭველი ვარ, თუ ბატყუებდე, დედამიშვილი გამიწყედეს! — ხელი დაიდო გულზე რაჟიკომ.

— შენ კი ხარ რაჭველი, მარა ეე ფქვილი ეგება სულაც აქაური! — გემო გაუსინჯა რაჟიკოს ფქვილს მთასავით წამოყუდებულმა კაცმა.

— დედამიშვილი დავიფიცე და არ გჯერა, შე კაცო?! — ფქვილი შეასწორ-შემოასწორა რაჟიკომ.

— ცოდვა კაცი გამხდარა ჩემი ძმა, საწყაო შეშლია, საწყაო დაუკარგავს, მაგას ვაჩვენებ სეირს, მაგას ვაჩვენებ დედამიშვილის დაფიცებას! — თქვა შამშემ და მუხლი ერთიანად გაშალა.

შვილიშვილი ბაბუას ფეხდაფეხ მიჰყვა.

შამშემ დახლს ქვემოდად შემოჰყვა, რძალს შეუხედავად ჩაუარა, ხალხი მისწი-მოსწია და ძმის პირდაპირ დადგა.

— ვაა, შამშეს გაუმარჯოს, ძმას გაუმარჯოს! — სახეგაბადრულმა რაჟიკომ სიხარულით სავან კარგა გვარიანად შეჰყვარა.


— საძოვარ-სამროწლე გაუწყურეს შენი ცოლის გვარსა და ამვლე-ჩამველეს! ასე უნდა გაგაფუტოს ქალმა, ბიჭო? — თვალი თვალში გაუწვრილმანა შამშემ ძმას.

ძმა ხუმრობსო, გაიფიქრა რაჟიკომ და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა.

შამშემ ერთი ისეთი გააწნა მარჯვენა ხელი ყბაში, რაჟიკოს თვალეზმა ნაპერწკლები მეორე დახლსაც გადააყარეს.

რაჟიკოს კიდევ ხუმრობა ეგონა.

„ძმები წალბაბუცდნენო“, —



გაიფიქრა ანეტამ.

— შენმა ცოლმა რომელ წისქვილშიც პირი გიქნას, იმ წისქვილის ალატის ძირი მენახოს გამოძვრალი, შე ვირო, შენა! — შეუყვია შამშემ ძმას და ახლა მეორე ლოყაზე მოადინა მარცხენა ხელმა ტკაცანი.

რაჟიკომ დაბნეულობისაგან ხელეზი სახეზე აიფარა.

ანეტა უმალ მიხვდა, მაზლი აღარ ხუმრობსო, ერთი კი დაჰკრა ფეხი ფქვილით სავსე ტომარას და ქმრის გვერდით ამოიმართა.

— შენ გამითახსირე ჩემი სისხლის ბადალი კაცი! — ახლა რძალს შეუტია შამშემ.

— იქ არ გვასვენებდი და აქაც მოგვწვდი, ხომ! — საჩვენებელი თითი და გრძელი ენა ზედ ცხვირთან მიუტანა რძალმა მაზლს.

— შენთან არაფერი საქმე არა ჩაქვს, გაწიე თითი იქით! — შეუბღვირა რძალს შამშემ.

— არა აქვს, ქმარს მიცემს და არა აქვს! — ხელები გაპარჭყა ანეტამ.

— შენს ქმრობამდე ჩემი ძმა იყო ეს კაცი!

— კი მარა, რა გინდა, რას მერჩი! უფროსი რომ ხარ და ხელს არ შემომიბრუნებსო, იმიტომ მცემ? — ახალა ამოილო ჩავარდნილი ენა რაჟიკომ.

— როგორ თუ რა მინდა! წავა ახლა ის ჩუმპოიანი კაცი, გამოაცხობინებს თავის ცოლს მჭადს, შეჭამს, არ მოეწონება და რაჭას დაუწყებს გინებას! ჩვენს მიწა-წყალს განა გინება უნდა? რა უფლებით ყიდი ნორიოში მოყვანილ სიმინდსა და მის ფქვილს რაჭულის სახელით! წვრილშვილი და შვილიშვილი რომ გეხვიოს თავს და შენახვა გიჭირდეს, კიდევ ხო, ერთი გაძვალტყავებული ცოლ-ქმარი ყრიხართ და არ გაგიძლათ კუჭი ხელფასით, ხო! რატომ უნდა ავინებინო ათშაურად მიწა-წყალი ვილაც ამვლელ-ჩამვლელს! სიზმარი ვნახე წუხელ და აი! ვამბობდი კია, ჩემი დროის ხელა კაცის სიზმარიც დაიჯერება-მეთქი! შენი სინსილა არ ვნახო დღეისამას იქით დახლთან თორემ, ჰაჭუებს ჩავიქცევ! — თქვა შამშემ, მერე ოთხი თითი ფქვილის გროვაში წაუცვა, ხელი მალა აიქნია და გამტკიცული ფქვილი ძმასა და რძალს თვალებში შეაყარა.

ბესო ბაბუას ხელებში ეცა.

შამშემ შვილიშვილი მოირიდა, ახლა მეორე ხელი წაჰკრა ფქვილს და მთლად ჩამოუთეთრა ძმას შავი პიჯაკი. მერე მიბრუნდა და იქაურობას გაერიდა.


ცნობისმოყვარენი მანამ იდგნენ იქ, სანამ რაჟიკო და ანეტა დახლს არ გაცილდნენ...

სამშობლოს უმაღლესი ჯილდო

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ კომპოზიტორს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ოთარ თაქთაქიშვილს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით კომპოზიტორი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

უფრონაღ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია, თავისი მრავალათასიანი მკითხველის სახელით გულითადად ულოცავს ოთარ თაქთაქიშვილს სახელოვან იუბილეს, სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს და უსურვებს დიდი ხნის ჩანმრთელ სიცოცხლეს, ახალ ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებებს.



რიმა კახაკოვა

* * *

ლიახ, საქმეა პოეზია,
სწორედ კაცური!
ხარის ქედს ითხოვს,
ოფლისმღვრელი შრომა სჭირდება.
მაშ, რად შეეება ეს გოგონა
ამგვარ კირთებას,
ორღიანელი ხომ არ არის,
ისიც, ასული?..

ავერ, ის მიდის!
როგორ შეენის ბავშვური ჩორთვა,
თუმც ალჭურვილა
იღუმალი სამყაროს ჭვრეტით.
თან აბჯარს ირგებს...
აი, მართლაც საშური მორთვა.
ნაბიჯი უკვე გადაიდგა.
რალა სურს მეტი?!

უარი სტიკია დედოფლებს,
უარი — თამაშს!
საით მიდისარ, ქალიშვილო,
დაბრუნდი, ჩქარა!
მაგრამ სჩვევიათ
ახალნაშენ ქალაქებს როგორც,
თვალეებს აელვებს
გულუბრყვილო სიმართლით
გოგოც.

არა იმიტომ,
რომ შესცინის უცნაურ ნათელს,

მიდის ჯერ კიდევ ბედნიერი
და უწრფელესი.
საქმე ის არის,
რომ უფროვე მიძიეა ბადე
თვით მეზადურის
დაკოჟრილ და დაღლილ ხელებში...

მაინც, მეთევზის მოთმინება
როდიდან ჰქონდა?
მაინც რა ჟინი შესძლება,
მაინც რა რჯიდა?
მიდის გოგონა,
ვით მრეცხავი — ორთქლიან გობთან,
ის მიდის, როგორც
მოწყალების დაი —
დაჭრილთან...

მიდის გოგონა,
თავგანწირვის დიდი აქვს რწმენა.
ცხოვრების შიში
არც უგრძნია მის გულს როდისმე.
ქანაც ამგვარად შეაფრინდა
ჭიხვინა მერანს,
მერე ასევე გაემართა
ეშაფოტისკენ!..

* * *

აქ შევიტყვე შეუღამის ენით,
ოდეს ძილის მოვისროლე ტვირთი,
რაც შევიტყვე შემწეობით მენით,
შენ ვერ მიხვდი,
მე კი, დასტურ მიხვდი.

რაც შევიცან ვანთიადის ეტლით,
როს ჩვენს ფერხთით ჭრაჭუნებდა
ჭირხლი,
რაც საერთო იყო მხოლოდ ჩვენთვის,
შენ ვერ მიხვდი,
მე კი მართლა მიხვდი.

ვით გაეძელით ერთად ასე დიდხანს,
თუ შენს გვერდით ვგავდი სასომიხდილს,
თუ ჯვარცმაში დღე დღეს როგორ მიჰყვა,
შენ ვერ მიხვდი,
მე კი, მე კი მიხვდი.

მომემატა ჭკუაცა და სევდაც,
და დაეკარგე, ვსულდგმულობდი რითიც,
რასაც ვნანობ, რატომ ვნანობ, ნეტაც,
შენ ვერ მიხვდი,
მე კი, რა ვქნა, მიხვდი.

ბოროტებას, რაც მარგუნა ბედმა,
ბოროტებით არასოდეს ვიხდი...
და ნუგეშად ის დარჩება ჩემთან,
რომ ვერ მიხვდი,
რასაც თავად მიხვდი.

სიყვარული სიყვარულად დარჩა,
ჩემს სულს აჰყვა, როგორც ხის ტანს —
ფითრი...

რაც მივიღე, იმას როდი ვხარჯავ,
შენ — არა და,
მე ყველაფერს მიხვდი.

არ გამენია მამბეზარა სიტყვაც,
ოღონდ გრძნობის გაშლილიყო კვირტი...
შენი თავის მეუფე რომ იყავ,
ამასაც კი
ჩემებრ როდი მიხვდი.

მაშ, ამაყად ნულარ, ნულარ მიმზერ
ფერფლადქცეულს, მწუხრისაკენ
მიხრილს...

თუმც შენივე სიღარიბის მიზეზს
შენ ვერ ხვდები,
მე კი, რა ვქნა, მიხვდი.

* * *

შემინდე, თუ ვარ აღრენით,
თუ სადმე ბრჭყალიც გაგკრა,
რა ვქნა, დაიბნა მარილი,
თუკი დაიბნა, რა ვქნა?!
ეს ძველებური ნიშანი
გულუბრყვილოა ახლაც.
შენი სულის მზეს სიშავე
ბნელ ღამესავით ახლავს...
ხომ მარწმუნებდი: გაივლის
ყველა, ვიცოთ კარგად...
მაგრამ, მარილი, მარილი
თუკი დაიბნა, რა ვქნა?!
ჭორისგან შხამნასხურები
შენ მაგიდასთან იჯექ
და სხვისეული რწმუნებით
ანთხევი ცოფის სინჯვბს...
ბრმა იყავ,
ო, ბრმა, სრულიად,
ბრმად დაადგინე მსჯავრიც.
ო, სული დაკაწრულია,
დანაცრულია ჯავრით.
უღმერთოდ გაჭორილია,
სული სულს ძლივსლა ითქვამს?
საცერში აწონილია
ცილ-მაცილური სიტყვა...
კიდე მოვიტმენ ცხვარივით,
იმედს არასდროს ვკარგავ,
მაგრამ, მარილი, მარილი
დაიყარა და, რა ვქნა?!
ყინული დარჩა. ვაითუ,
არც გაზაფხულზე გალხვეს?!
სულს ვერა ვენდავ რაინდულს,
ბედის დაცინვას დახეთ!..
ასე თავდება ზღაპარი —
ჭირი იქ, ლხინი — აქა...
მაგრამ, მარილი? რაც არი,
არი, დაიბნა რა ვქნა?!.

* * *

შენდობის წყალობით
ჩემს მტრებს მოვერიე,
მესმის, იყოს მტრობა
ძლიერთა საფერი.
ჭავლივით ჩაივლის,
ვიცი, ყოველივე,
ჭორიც ხომ ჭავლია,
მეტი არაფერი.

რას მიშლის ეს მტრობა.
თქვენი გზით იარეთ.
ცრემლის, რახანია,
რაც კარი დავრაზე.
თქვენ კვლავაც განძივით
აგროვებთ სიყვეს,
მე კი, როგორც მინდა,
ვცხოვრობ ქვეყანაზე!

თარგმან ოთარ შალაგზარიაძე.

გვარამუხიანი
ქვიციანი
ბიბლიოთეკა

რონა გუნი

საქართველოს მიწა-წყალზე უშრომია მრავალ გამოჩენილ სომეხ მოღვაწეს. მათ შორისაა შესანიშნავი მომღერალი ჰაიკანუშ დანიელიანი.

ჰაიკანუშ დანიელიანი თბილისში დაიბადა. იგი იზრდებოდა ოჯახში, სადაც სიმღერის კულტი იყო გამეფებული.

ბავშვის ნიჭიერება იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ გულისხმიერმა მეზობელ-მეგობრებმა გადაწყვიტეს, მას ვოკალური განათლება მიეღო. ხელმოკლე ოჯახისათვის ქალიშვილის სასწავლებლად გაგზავნა რომ შეემსუბუქებინათ, ფულიც შეაგროვეს. სკოლის დამთავრებისთანავე (მან თბილისის მესამე ქალთა გიმნაზია დაამთავრა) 1912 წელს, სათანადო სარეკომენდაციო წერილით, ყმა-წყვლი ქალი პეტერბურგში გაგზავნა, კონსერვატორიაში გამოცდების ჩასაბარებლად.

ჰაიკანუშს მხოლოდ სამი თვე დასჭირდა მომზადებისათვის, რომ პეტერბურგის კონსერვატორიის სტუდენტი გამხდარიყო. რვა წლის ბეჯითმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. კონსერვატორიის დირექტორმა, ცნობილმა კომპოზიტორმა ალ. გლაზუნოვმა, ასეთი შეფასება მისცა წარჩინებით კურსდამთავრებულს: „მომხიბვლელი ტემბრის ხმა, სანიმუშო კოლორატურა, ვირტუოზული მხატვრული შესრულება, ხუთი პლუსით (5+). 25 მაისი 1920 წ. ალ. გლაზუნოვი“. დიპლომის გადაცემის დროს კი ასე მიმართა: „კონსერვატორიის არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე, თქვენ პირველი ხართ, ვინც ისე გავიდა მისი კედლებიდან, რომ ყველაფერი აიღო და ამოწურა, რის მიცემაც შეეძლო კონსერვატორიას“.

კონსერვატორიის დამთავრებისთანავე ჰ. დანიელიანი ახლად დაარსებულ ლენინგრადის კომიკურ ოპერაში მთავარი პარტიების შემსრულებლად მიიწვიეს. იმერა ოპერებში: „საიდუმლო ქორწინება“ (ჩიშაროზი), „ასე იქცევა ყველა“ (მოცარტი), „სევილიელი დალაქი“ (როსსინი).

როდესაც 1922 წელს იგი თბილისში დაბრუნდა, უკვე ფართო საოპერო და კამერული რეპერტუარი ჰქონდა.

ამ პერიოდში თბილისში

საბჭოთა მთავრობა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში ახორციელებდა ღონისძიებებს, რომლებიც ძირფსვიანად სცვლიდა ქალაქის მუსიკალური ცხოვრების საერთო სურათს. ოპერის თეატრს დღითი დღე ემატებოდა ეროვნული სამუსიკო კადრები. ქალაქში მომრავლდა მუსიკალური განათლების კერები. სახელმწიფო კონსერვატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი დიდი მამულიშვილი ზ. ფალიაშვილი (1924 წლამდე) ველარ იტევდა სტუდენტთა გაზრდილ კონტინენტს. 1921 წელს გაიხსნა მეორე კონსერვატორია, მისი დირექტორი იყო ეროვნული მუსიკის მოღვაწე, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი. ფეხი მოიკიდა სიმფონიური კონცერტების პრაქტიკამ, განსაკუთრებით დირიჟორ ივ. ფალიაშვილის რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ.

ჰ. დანიელიანიმა ჯერ საკონცერტო პროგრამებში დაიწყო გამოსვლა, კამერული სიმღერის უანრი, მისთვის, როგორც მუსიკოსისათვის, მეტად მნიშვნელოვანი იყო. ესტრადებზე მან პოპულარობა მოუხვეჭა თავისი დროის მრავალი კომპოზიტორის ახალ სიმღერებს. კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა 1923 წელს გამართულ თავის „საავტორო კონცერტზე“ მთელი მეორე განყოფილების პროგრამა დაუთმო მას.

კონცერტს ვრცელი რეცენზიაც მოჰყვა სათაურით „დ. არაყიშვილის რომანსების საღამო“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჰ. დანიელიანის სახით არაყიშვილმა შეიძინა თავისი ნაწარმოებების საუკეთესო ინტერპრეტატორი, რომ მომღერლის თბილი, გულითადი, გამკვირვალე ხმის ტემბრი ნატიფად გადმოსცემდა კომპოზიტორის მუსიკის ლირიკულ ხასიათს. 1923 წელს დანიელიანი ჩაირიცხა თბილისის ოპერის თეატრის მულმივ დასში. რეპერტუარში მას ჰქონდა ყველა კლასიკური ოპერა, რომლებიც იმ ხანად იღვებოდა. შემდეგ მათ ქართული ოპერების წამყვანი პარტიებიც მიემატა („აბენალომ და ეთერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „დინარა“, „თამარ ციხერი“).

შ. კაშაძის ნაშრომში მოხსენებულია ჰ. დანიელიანის პირველი გამოსვლა ეთერის პარტიაში. იგი ვ. სარაჯიშვილთან ერთად მღეროდა. პრესამ ხოტბა-დიდება შეასხა ამ სპექტაკლს. 1928 წელს მან შეასრულა გულჩინას პარტია ზ. ფალიაშვილის მესამე ოპერის „ლატავრას“ პრემიერაზე. საერთოდ ქართულ ვოკალურ პარტიებს ჯარგად მივსადავა ჰ. დანიელიანის ხმა, მაგრამ მართოს პარტიას („დაისში“) მაინც განსაკუთრებული ადგილი ეკავა მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მომღერალსაც მეტად ჰყვარებია ეს პარტია და ყოველთვის დიდი გრძობით, დახვეწილი დემოვებით ასრულებდა.

ერევის თეატრალურ საზოგადოებაში დაცული საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მიხეილ ყვარელაშვილის ჩანაწერი ადვილად წარმოგვიდგენს ჰ. დანიელიანის ხმის მდიდარ გამომსახველობას: „...თუმცა დიდი დრო გავიდა, მაგრამ ახლაც ყურში მესმის ძლიერად მეღერი, წკრიალა ხმა დანიელიანისებური მაროსი, ეთერის, ნანოსი... ქართველი ხალხი არასოდეს დავიწყებს ამ შესანიშნავ მომღერალს, ქართული სახეების საუკეთესო შემსრულებელს ქართულ ოპერებში“.

1932 წელს ჰ. დანიელიანიმა დატოვა თბილისი მხოლოდ იმისთვის, რომ აქტიურად ჩაბმულიყო ერევის ოპერის თეატრის დაფუძნების საქმეში, რომლის ფარდა პირველად 1933 წლის 20 იანვარს აიხადა.

ჰ. დანიელიანიმა დიდი ღვაწლი დასდო თავისი ერის მუსიკალური კულტურის აყვავებას. მონაწილეობდა ერევის ოპერის თეატრის რეპერტუ-

რის შექმნაში, ეროვნული ოპერების დადგმების განხორციელებაში. ამ თეატრში მან კიდევ ერთხელ იმერა თავისი საყვარელი მაროს პარტია ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში“, რომელიც მისივე თაოსნობით დაიდგა ერევის ოპერის თეატრში. განუზომელი იყო ჰ. დანიელიანის ინტერესების დიაპაზონი. თეატრში მუშაობასთან ერთად არ ივიწყებდა საზოგადოებრივ საქმეს. იყო სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სიცოცხლის ბოლომდე ზრდიდა ვოკალისტთა თაობას, იყო ერევის კონსერვატორიის პროფესორი. იგი გახლდათ პირველი სომეხი მსახიობი, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ივ. კოზლოვსკი 1956 წლის სომხეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე გამოვიდა სიტყვით, სადაც მან ჰაიკანუშ დანიელიანის სახელი იმათ რიცხვში ახსენა, ვინც მაღალი ვოკალური კულტურის ერთგული მსახურნი იყვნენ და სცენიდან წასვლის შემდეგ ახალგაზრდობას ძვირფასი ტრადიციები დაუტოვეს.

„ქართული აუდიტორიის სახით მე მყავდა მეტად გულისხმიერი და სათუთი მსმენელი, — წერდა ჰაიკანუშ დანიელიანი თავის მოგონებაში. — ჩემი გულიდან არასოდეს გაქრება უსაზღვრო მადლიერების გრძობა ქართველი ხალხისადმი, მისი მუსიკალური კულტურისადმი, ამ კულტურის დიდი მოღვაწე და მოამაგე ადამიანებისადმი, რომელთანაც მე ვიზიარებდი შრომასა და სიხარულს მუსიკალური მოღვაწეობის სარბიელზე“

იტალიაში ქართველ პარტიზანთა თავგანწირული ბრძოლების ამბები ვრცელდება მათხრობილი გარიბალდელთა ჯარების სარდლების პიეტრო სეკიასა და ჩინო მოსკატელის მონოგრაფიაში „მონტეროზა მილანში დაეშვა“, აგრეთვე გარიბალდელი მეომრის მაურო გალენის წიგნში „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში“.

სხვა იტალიელი ავტორებიც თავიანთ წიგნებში ხშირად აგვიწერენ ქართველების შეუპოვარ ბრძოლებს პიტლერელ დამპყრობლებთან და ქება-დიდებათ იხსენიებენ მათ გმირულ შემართებას.

იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილე 5000 უცხოელი პარტიზანიდან მხოლოდ ორს მიენიჭა იტალიის ეროვნული გმირის წოდება და ორივე საბჭოთა მეომარია — თეოდორ პოლტაევი და ფორე მოსულიშვილი.

იტალიელები მათი მშობლიური მიწაწყალის განთავისუფლებისათვის მებრძოლ საბჭოთა პარტიზანებს, მათ შორის ქართველებს, დიდი სიყვარულით იგონებენ. მრავალი ქართველი პარტიზანი იტალიის რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებითაა დაჯილდოებული.

ალსანიშნავია ისიც, რომ ქართველი პარტიზანები გარიბალდელთა სარდლობამ საბრძოლო დროებით დააჯილდოვა. ეს დროები ჩვენმა თანამემამულეებმა სამშობლოში ჩამოიტანეს და მუზეუმებს გადასცეს.

იტალიაში წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთმა მამაცმა მონაწილემ, უოფილმა პარტიზანმა გიორგი ნასარიძემ 1964 წლის 9 მაისს თავის ოჯახში შექმნა იტალიელ პარტიზანთა საბრძოლო დიდების მუზეუმი. ეს მუზეუმი გახსნილია ქალაქ რუსთავში, ტოლსტოის ქუჩაზე, № 50 სახლში.

გიორგი ნასარიძეს ბევრი შემწე და გულშემატკივარი გაუჩნდა. საგულდაგულოდ მოწყობილი მუზეუმი თანდათან შეივსო ექსპონატებით, გამდიდრდა პარტიზანთა პირადი ნივთებით, საყურადღებო დოკუმენტებით, საბრძოლო პლაკატებითა და პარტიზანთა ფოტოსურათებით.

საზოგადოებრივ საწყისზე შექმნილმა მუზეუმმა პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მუზეუმს ეწვია ქალაქ ბაქოს კინოსტუდიის მუშაკთა ჯგუფი რეჟისორ ნ. ბადალოვის მეთაურობით. აწერბაიჯანელმა მეგობრებმა ფირზე აღბეჭდეს მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატები.

გაზეთმა „ივესტიამ“ საბჭოთა საზოგადოებრიობას ამცნო, რომ რუსთავში დაარსებული ჯუზეპე გარიბალდის სახელობის მუზეუმი მეტად ნაყოფიერ სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას ეწევა. ინფორმაცია მშრომელთა გულისხმიერი გამოხმაურება გამოიწვია.

ამ წამოწყებას მოსკოვში დიდი სამამულო ომის ვეტერანთა კომიტეტის ორგანო უურნალი „ბიულეტენიც“ გამოეხმაურა. უურნალში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნულია, რომ იტალიაში მებრძოლმა საბჭოთა პარტიზანებმა, მათ შორის ქართველებმა, გმირობითა და მხედრული შემართებით ასახელეს სამშობლო.

იტალიელ პარტიზანთა დელეგაციამ, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა, რუსთავის საბრძოლო დიდების მუზეუმშიც მოინახულა. მრავალფეროვანმა ექსპონატებმა სტუმრები აღტაცებაში მოიყვანა.

იტალიელმა პიორინო ვოსკომ რუსთავის მუზეუმის დამაარსებელ გიორგი ნასარიძეს ასე მიმართა:

— ჩვენში მე არ მინახავს, რომ ქართველ პარტიზანს თავის ბინაში მუზეუმი მოეწყოს. თქვენ კი, შორეულ საქართველოში, რამდენი შრომა გასწიეთ, რათა უკვდავგეყოთ ხსოვნა პარტიზანული ბრძოლებისა იტალიაში და ამ მუზეუმის კედლებზე აღგებულ ქართველ და იტალიელ ხალხთა საუკუნო მეგობრობა!

უოფილმა იტალიელმა პარტიზანებმა რუსთავის დიდების მუზეუმს გადასცეს იტალიის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში დაკრძალული ქართველი პარტიზანების საფლავების სურათები.

დაუვიწყარი იყო მეორე შეხვედრაც. გიორგი ნასარიძეს, 34 წლის შემდეგ, სტუმრად ეწვივნენ უოფილი თანამებრძოლები ვიტორიო ბლანდინო და ალესიო მეფიოლა.

მეგობრებმა გაიხსენეს იტალიაში გამართული ცხარე ბრძოლები. საუბარში აღადგინეს 1944 წლის 1 მაისის ნათელი დღე, როცა მათი რაზმი თავს დაესხა მრავალრიცხოვან პიტლერელებს, მუსრი გაავლო და 47 ქართველი მებრძოლი ტყვეობისგან იხსნა.

ომის ვეტერანის გიორგი ნასარიძის თაოსნობით იტალიაში ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა ქართველმა პარტიზანებმა თავიანთი სახსრებით გაამზადეს შინამოუსვლელთა ძეგლი-მემორიალი, რომელიც მწერალმა რევაზ თაბუკაშვილმა ჩაიტანა იტალიაში.

ეს ძეგლი-მემორიალი ახლა ჩრდილოეთ იტალიაში სუბის პროვინციაში დგას სამომო საფლავზე.

ვიროს ქორიავილი,

საპარტვილოს მაცნეიგმათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მაცნეირი თანაშრომელი.

გული, სიკეთით სავსე

გორში ყველა იცნობს მას. დახმარებისა და რჩევის სათხოვნელად ახლო-მახლო სოფლებიდანაც ჩადიან ტრიფონ ბიძიასთან.

ვის არ ნახავთ ქალაქის ცენტრალურ აფთიაქში: მოდიან ტყვიაველები, მეჭვრისხეველები, შინდისელები, კარალელები, სკრელები, ვარიანელები...

ოთხმოცდაექვს წელს მიტანებული კაცია ტრიფონ გამსახურდია. ხანდაზმულ პროვიზორს ღვალიც ისევ უჭრის, სიტყვაც, ძალაც. გული სიკეთით აქვს სავსე.

შებვალთ აფთიაქში, შუბლგახსნილი პროვიზორი გაგესაუბრებათ, რჩევას მოგცემთ, დაგარიგებთ. მერე გავა, მიიხურავს კარს და წამალს სასწრაფოდ გაგიმზადებთ.

ასეც ხდება: აფთიაქში ზოგჯერ წამლის დასამზადებლად რომელიმე შემადგენელი თავი

არა აქვთ. ნუ შეშფოთდებით! ტრიფონ ბიძია გაუჩინარს გააჩენს.

მიუჯდება ტელეფონს: ქალაქის ყველა აფთიაქში ჩამორეკავს, თუ საჭირო გახდა, სოფლებსა და ახლო-მახლო რაიონებშიც მიაწვდენს ხმას.

მოიძიებს რაც სჭირდება, თვითონვე დაფაცურდება და აუცილებელ წამალს მიაშველებს ავადმყოფს.

აი, ამიტომაც არის ყველა— დიდი თუ პატარა, ამ ჭარმაგ, ამაგდარ კაცს სიყვარულით „ტრიფონ ბიძიას“ რომ ეძახის.

ტრიფონ გამსახურდიას ოჯახის ხუთი წევრი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება: მეუღლე ელენე — მისი კოლეგაა, ქალიშვილებმა ნათელამ, ეთერმა და ლიზამ პროფესიად ექიმობა აირჩიეს. მეოთხე ქალიშვილი მერი მასწავლებელია — მშობლიურ

ენას ასწავლის მომავალ ექიმებს, ინეინრებს, აგრონომებს...

ტრიფონ გამსახურდია ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირში დაიბადა.

1916 წელს იგი ყაზანის უნივერსიტეტში გაემგზავრა, საიდანაც აფთიაქარის თანაშემწის დიპლომით დაბრუნდა.

ტრიფონი ჯერ სხვადასხვა აფთიაქში მუშაობდა, შემდეგ კი, წლების მანძილზე, გორის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ტრიფონ გამსახურდიამ დიდი წვლილი შეიტანა გორში პირველი ტუბდისპანსერიის გახსნაში. მისივე თაოსნობით შექმნა რენტგენის და ფიზიოთერაპიის კაბინეტები, გაიხსნა ლაბორატორია.

1940 წლიდან ტრიფონ გამსახურდია თავის სპეციალობას დაუბრუნდა. 20 წელი სოფელ


ტყვიავის აფთიაქის გამგედ მუშაობდა, 1961 წლიდან კი გორის ცენტრალური აფთიაქის რეკეპტორ-კონტროლიორია.

გორელმა მშრომელებმა ტრიფონ გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლის და შრომითი მოღვაწეობის 60 წლისთავის იუბილე გადაუხადეს.

პატივცემული ტრიფონ იკვლავაც მშრომელი ხალხის სამსახურში დგას.

ილო ალაზნალი





ჩემი სოფელი.



ბედნიერი თაობა.

ლონისა ჭიჭინაძე


მესამე სემესტრი.





„მერანი“


ირაკლი ოქროპირიძე



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი,
კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე.



ქვეყნის
საბჭოთა



ცნობილი მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ოთარ
ლომიძე და მისი ვაჟიშვილი ანატოლი.

ფოტო მიხეილ კვიციანიშვილისა.

მეფოლადის შეგირდები: ზურაბ ციკარიძე და ავთანდილ
ბარბაქაძე.






სპორტული ჯაფხული.

ფოტო მაღბაზ დათიკაშვილისა.



ლექსი

იაკობ ჯულაშვილი



- ტყეობას სამარცხინოდ მიიჩნევ?
- დიხ, სამარცხინოდ მიიჩნევ?
- რა გითხრა მან (მამამ) განშორებისას?
- მიიხრა: წადი და მოდი.

დაკითხვიდან.

შემოიჭრა იგი სულში,
ვით ნათელი დილისა,
შვილსა ჰქონდა რწმენა მამის,
ხოლო მამას შვილისა.

მუხანათმა ვერ გატეხა,
დიდხანს ტანჯა, აწამა,
თანამებრძოლთ თავდადება
აჩვენა და ასწავლა.

დავამარცხეთ მოძალადე,
გადაეჩეხეთ უღრანში
და სამშობლო ვარდად უშლის
გულს იაკობ ჯულაშვილს!

შაქრო საადაშვილი

მთაო, გადგიშვი!..

გზას მიხშობ, დგახარ მაღალ მთასავით,
შენში ვერ ვნახე ჩემი ვარსკვლავი.

გაცლის სურვილმა შემძრა ამ დილით,
შენ კვლავ გორგობ, კვლავ იჭურბები.
ჩემი გზით მივალ, დიდი წადილით
და სიუვარულის წმინდა უფლებით.

როგორ ვეწამე, როგორ დამქანცე!
ვესწრაფი წმინდას, მთაო, გადგიშვი!
გადავხვევი ანდრო ბახტაძეს,
სულში ჩავისვამ შერი რამიშვილს.

სურვილი: გაცლა — აი, ახლა დღეს,
ნურაფერს მეტყვი, ნურას დამიშლი!
მხნეობას შეეძენ ანდრო ბახტაძეს,
მით გავახარებ შერი რამიშვილს.

რომ აღმართულხარ მაღალ მთასავით,
სულში ნაღველი უხვად შეგროვდა.
შენში ვერ ვიცან ჩემი ვარსკვლავი,
შენში ვერ ვხედავ კეთილ მეგობარს.

ჰოდა, გადგიშვი, მთაო, გადგიშვი,
ახლეს წადილი, ნულარ დამიშლი!

გური ფატალავა

ჰა, მშვილდი და
ჰა, ისარი

ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწუდეს ლამის არი.
ჰაპის იყო, დღეს ჩემია,
როგორც შვილი მამის არი!
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწუდეს ლამის არი.
ჩვენ ვინ მოგვცა გასაწირი,
საქართველოს საფიცარი!
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწუდეს ლამის არი.
ორგულია? ძმაც რომ იყოს,
ქორწილის დღეს მიუსწარი!
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწუდეს ლამის არი...

მამიდა

არა, სხვა მამილის
ოღა ქარვის კალთება,
როს წვიმიან ამინდით,
ცისკენ აიშართება.

როცა გალობს ყავარი,
კატა უშვებს თაროებს
და მამიდა თამარი
ფშენის სიმინდის ტაროებს.
როგორ შვენის ფაცური,
ფრთები როგორ ესხმება,
როს მეზობლის ასული
ღვინოს დაესხება.
ხშირად სევდა დაწიდავს
და ძნელია ცხოვრება,
მაშინ ცირას უასიდად
საცერს ენათხოვრება.
მერე დიდხანს კისკისებს
ცირა, ზაპი და ვარცლი...
მერე მკერდზე გიზგიზებს
თმები გადმონავარცხნი.
ლოგინს ჩუმად გაიშლის,
ქერზე ალი ნელდება
და ერთგული ბალიში
ცრემლით დაუსველდება...

რად არ მორბი,
სანატრელო?

ქარი ცოცხლობს აკაციის
ტკბილი რიგით,
რად არ მორბი, სანატრელო,
ძველი კიბით?

ჩაჰყვა თვალი საფეხურებს
ქვევით. ქვევით,
რად არ მორბი, სანატრელო,
სურის ქნევით?

რა ხანია, წალკოტების
მუედრო ბაქნებს
შემოდგომის ფოთოლცვენა
აფილაქნებს.

რა ხანია, შემოდგომა
წვეთავს სულში,
რა ხანია, ვცურავ ყვითელ
ნაკალულში.

იისფერი აჩრდილები
შორით ლანდავს,
სულ ცოტაც და მზე განთიადს
გამორანდავს.

დროა, ტკბილო, მაგ სურიდან
წყაროს ვსვამდე,
უკვე ერთი მტკაველია
აისამდე.

ქარი ცოცხლობს აკაციის
ტკბილი რიგით,
რად არ მორბი, სანატრელო,
ძველი კიბით?

ჯანიკო ბაგუნი

როგორ ბავიგო

რა ვუყო ამ ლექსს,
ატირებულს ჩვილი ბავშვივით,
რა ვუყო ამ ლექსს,
დამენათვეს ავადმყოფივით.
რა ვუყო ამ ლექსს,
საფრენად რომ ფრთა აქვს გაშლილი
და გასასროლად შემდგარია
უკვე თოფივით.

მიიხარ, ძვირფასო,
დავაწერო კვლავ მისამართი?
გამოვატანო ციხფერ მტრედებს,
თეთრ ქრიზანთემებს?
როგორ გავიგო,
სხივიანი ზეცა დანათის,
თუ ისე ქრება,
ერთ ღამესაც ვერ გაათენებს.

ჰუთაისი.



კადრაქში თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული დო-
ლოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

რუმინელი დიდოსტატი მარგარეტ მურეშანი, რომელსაც გადაეცა უფრანდ
„დროშის“ კრიზი.



მშობლიური გუნების ქომაგი

უცხოელ მეგობართა
კეთილი სურვილები

ჩვენი ფართო საზოგადოებრიობა კარგად იცნობს საქართველოს ორნითოლოგიური კომისიის თავმჯდომარის, დოცენტ რევაზ შორდანია მრავალმხრივ მოღვაწეობას. ქართველი მეცნიერის სიტყვასა და აზრს პატივს სცემენ, ანგარიშს უწყვენ მისი კოლეგები, საზღვარგარეთის ცნობილი სწავლულები, სამეცნიერო საზოგადოებები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულია უურნალის — „დერ ფალკე“ („შავარდენი“) ნომერი, რომელიშიც მოთვსებულია ცნობილი ორნითოლოგის გიუნთერ გრემპეს და ამ უურნალის მთავარი რედაქტორის ვინფრიდ ციმბალის სტატია „რევაზ შორდანია. დაბადების 50 წლისთავის გამო“.

„რევაზ შორდანია დაიბადა საქართველოს დედაქალაქ თბილისში, სახელგანთქმული ისტორიკოსების ოჯახში, — ეუბნებოან გერმანელ მკითხველს ავტორები, — მისი პაპის მამამ, თედო შორდანია, შეადგინა მრავალტომიანი მონოგრაფია „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“, ქართული გრამატიკა. მამა — პროფესორი გივი შორდანია, საფრანგეთის ისტორიისა და მისი რუსეთთან ურთიერთობის სპეციალისტი, თბილისის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგეა, რევაზის დედა — ბარბარე შორდანია — ხელოვნების მცოდნეა.

1958 წელს რევაზ შორდანია იქროს მედალზე დაამთავრა თბილისის პირველი სკოლა და უნივერსიტეტში შევიდა. 1952 წლიდან მან სერიოზულად დაიწყო მუშაობა ორნითოლოგიაში, დადიოდა საქართველოს მუზეუმში (ყოფილ კავკასიურ მუზეუმში) პირველ ქართველ ორნითოლოგთან ივანე ჩხიკვიშვილთან. 1958 წელს „ფალკემ“ პირველად დაბეჭდა მისი მრავალწლოვანი დაკვირვებები ქალაქის მერცხლების ბიოლოგიაზე.

უნივერსიტეტში სწავლისას იგი იყო სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

უკვე ოც წელიწადზე მეტია, ქართველი მეცნიერი ბრიტანეთის ორნითოლოგიური კავშირის წევრია. 1962 წელს გამოიცა მისი მონოგრაფია მცირე კავკასიონის ორნითო-

ლოგიაზე (საქართველოს სსრ ფარგლებში). მერე მან დაბეჭდა კიდევ შვიდი წიგნი.


რევაზ შორდანია 50-ზე მეტი სამეცნიერო და 100-მდე სამეცნიერო-პოპულარული სტატიის ავტორია სვანეთის, სამეგრელოს, კოლხეთის დაბლობის, ქართლის, ლაგოდეხის ნაკრძალის ფრინველებზე. ამის გარდა, მასვე ეკუთვნის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის დაწერილი 200-ზე მეტი სტატია ფრინველებზე.

1968 წლიდან რევაზ შორდანია თბილისის უნივერსიტეტის ზოოლოგიის კათედრის დოცენტია, აქ მან საქართველოში პირველად დაიწყო ორნითოლოგიის კურსის კითხვა.

რ. შორდანია ბევრს მუშაობს ბუნების დაცვის საკითხებზე. არის საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის წევრი, თბილისის უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პრობლემური ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, უნივერსიტეტის მრამების რედაქტორის მოადგილე, გამოშვებებს „საქართველოს გარემოს დაცვა“ რედაქტორი, მრავალი საბჭოს წევრი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საქმიანი ურთიერთობა ბევრ პროფესიულსა და მეგობრულ ინიციატივას ბადებს. ვუსურვებთ მას წარმატებებს შემდგომ მოღვაწეობაში ჩვენი სპეციალობისა და მისი მშობელი ბუნების საკეთილდღეოდ“.

უცხოელ მეგობართა კეთილ სურვილებს სულითა და გულით უერთდება უურნალ „დროშის“ კოლექტივი და ახალ შემოქმედებით წარმატებებს, ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს უსურვებს რევაზ შორდანია — შესანიშნავ მეცნიერს, გულისხმიერ პედაგოგს, ჩვენი უურნალის მუდამ სასურველ ავტორს.

„დროშის“
სურვილებით





- შვილიშვილებთან.
- ვახტანგ ბერიძე და მისი მეუღლე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ნატალია ფალავანიძე.
- ვახტანგ ბერიძე და ტურ ჯიქიაშვილი.
- ვ. ბერიძე, ლევან ჰილაშვილი და თამაზ სანიკიძე.
- ვ. ბერიძის წიგნები დასტამებული საბჭოთა და საზღვარგარეთის გამომცემლობებში.

ქართული ხელოვნების შესანიშნავ მკვლევარსა და მოამაგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ვახტანგ ფალავანის ძე ბერიძეს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით იგი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

უურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია ულოცავს მეცნიერს სახელოვან იუბილეს, სამშობლოს მაღალ ჭილდოს და უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს.

მკითხველს ვთავაზობთ აკადემიკოს ვახტანგ ბერიძისადმი მიძღვნილ ფოტომოთხრობას.



ფოტო ვიძობორ ჯიქიაშვილი.



პოეტი მიხეილ მამულაშვილის ბაღში.

ყვავილანი უეჭო სარბიანი

მელა ნონევილი,

მეგობრობის მუზეუმის მაცნობი მუშაკი.

„საყვარელო შეილო საქართველოსი, ჩვენო იოსებ, გუშინ შენი თვალთ ნახე რამოდენა სიმახინჯე კეთდება ამ ლამაზი არაგვის სანაპიროზე — მართალია, შე პატარა კაცი ვარ, არა მაქვს ძალა — მაგრამ გრძნობა ხომ მაქვს, რომ ეს ბალი ჩვენ სიძველეებს თიანდაზად უფენია და აქ მოსულ ხალხს არწმუნებს, როგორია ჩვენი კულტურა, მერე ხომ მცხეთა არის ჩვენი პირველი ემბაზი საქართველოს დაარსებისა. ნუ მოვიქცევით ისე, რო თქონ ჩვენ არა ვცემთ პატივს ჩვენს ძეგლებს. განა ზედაზენის მთის აფარება ან არაგვის სანაპიროს წინ რაიმე უნდა ეფარებოდეს. შენი ჭირიმე, სოსო, ჩაიცვი რკინის ქალამანი, დაუარე და შეეცადე, თუ სულ არ შეიძლება მისი მოსპობა, ზედა სართულს მაინც ნულა დაადგამენ. ეს ხომ მცხეთის მოთხრაა. იქნებ გაზეთებშიც მოათავსო, ალაღანო ხალხი. დარწმუნებული ვარ, რო ყველა შეგნებულ პატრიოტი ჩვენი ქვეყნისა აღშფოთდება, და ამგვარ სიმახინჯეს არ დაუშვებენ. ვიცი რო გაგიკვირდება ჩემი ასეთი აღშფოთება, მაგრამ მეტად გამაჯავრა ამ უწესოდ ჩადგამ სახლისა, რაც არა ვარგა, რაც უწესობაა. მცხეთა უნდა გადაიქცეს ჩვენი საქართველოს ჩირაღდნად. ყველა ქართველი ამას უნდა ცდილობდეს, ჩვენი პირველი აკვანი აქ დაირწა იმედი მაქვს შენი, რომ შენში არის ძალა, შენში არის სიყვარული ჩვენი ქვეყნისა და არა მარტო პოეტი ხარ, დარაჯი ხარ ჩვენი ძეგლებს“.

ბევრი სხვა ამონაწერის მოტანა შეიძლება ამ ბარათებიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია, როგორც მიხეილ მამულაშვილის სულში ჩასახედად, ასევე იმის გასათვალისწინებლადაც, თუ როგორ სიამოვნებას ანიჭებდა იგი თავის საყვარელ პოეტს ალალი სიტყვებითა და სურვილებით. მარტო ის რად ღირს პოეტისათვის, რომ ყვავილთა სამყაროს მესაიდუმლე აღფრთოვანებული იყო ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ლექსით, მას სათუთად ინახავდა თავის ბინაში ვაჟას სურათთან ერთად და თითქმის ყველა სტუმარს ზეპირად უკითხავდა:

არაგვის მთარავევბა
და ვარსკვლავებით უხვი ცა,
ბეჩავი ქუჩის ჩივილი,
ტივილი ბებერ მუხისა;
ლუხუმის გველისპირული,
ზეზვას ფარის ქრიალი
და სული, სული ქართული,
შემტევი, ქარიზხლიანი.

იოსებ ნონევილის მეგობართა და თაყვანისმცემელთა წრე არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი, არამედ უაღრესად მრავალფეროვანიც იყო. ამ გარემოებას პოეტის ბუნება და ხასიათიც განაპირობებდა. იგი ხომ მეგობრობდა და მხარს უჭერდა ეროვნული კულტურის ბევრ მოამაგეს, განურჩევლად ასაკისა და პროფესიისა. მუდამ გულთ ხარობდა ჩვენი კულტურის ყოველი ახალი შენაძენის გამო.

ამგვარ მეგობართა შორის იყო ყვავილთა სამყაროს მესაიდუმლე მიხეილ მამულაშვილი — იოსებისა და მისი პოეზიის უსაზღვროდ პატივისმცემელი, ძია მიშა (ასე მივმართავდით მას). სისტემატურად გვილოცავდა ახალ წელს, გაზაფხულის დადგომას, დაბადების დღეს... მისი ბარათების პირველი გვერდები შემკულია ყვავილით ან პატარა რტოთი, რომელიც შერჩეულია იმის მიხედვით, თუ წლის რომელ დროს არის დაწერილი... აი ზოგიერთი მათგანიც.

„ჩემო იოსებ! გილოცავ გაზაფხულის პირველ დღეს, იცოცხლე, იყავ ისევ ისეთი, როგორიცა ხარ, ნუ გავიგონო შენი ცუდი ნურასდროს, შეუდარებლო ადამიანი, უბრალოვ და წესიერო. შენი მიხეილ მამულაშვილი“.

„ჩვენო პოეტო, ჩემო სოსო! შენმა კალამმა დიდხანს სწეროს ის, რაც შენს გულს სურს, სიმართლის გზის მკაფავს. ჩემო იოსებ, შენი სტუმრობით ბალახიცი ხარობს, სალამს გიძღვნის ყველა ფოთოლი, ყველა ყვავილი. ზამთარში გაზა-

ფხული მოგაქვს — სითბო, მზე. გილოცავ ახალ წელს, დიდხანს იცოცხლე, იბედნიერე, შენმა ლაღმა თვალებმა უცქიროს საქართველოს, ჩვენ კი დავტკბეთ შენი დაუშრეტელი ნიჭით. დაგკოცნი, შენი მიხეილ მამულაშვილი“.

„საყვარელო იოსებ! გილოცავ დაბადების დღეს, იცოცხლე შენი მეტყველებით, შენი აზრებით, შენი სამშობლოს სიყვარულით. შენმა ვაჟას ლექსმა მთელი მნახველები გაახარა, გააოცა და შეაყვარა შენი თავი.“

შენი მიხეილ მამულაშვილი“.

„კარგო იოსებ! რომ იცოდე როგორ ბევრჯერ გიგონებ და ვსიამოვნებ, როდესაც ჩემთან სტუმრები არიან, ვინც უნდა იყოს, ყველას ვაკითხებ ვაჟას ლექსს. ამით მეც ვტკბები, თითოეული სიტყვა ძარღვებს მიჟრჭოლებს... ასე რომ, შენ უკვდავი ძეგლი დაიდგი ამ დიდებული ლექსით...“

სოსო ჩემო, შენ თუ გინახავს, მინდორში რომ გასულხარ, ტყის პირას კაკაბის კაკანი: როგორი სასიამოვნო, ბუნებრივი ხმა გესიამოვნება, ძარღვები დაგაწყდება, დაგავიწყდება ყველა ის, რაც შენს გულს სტანჯავს. — აი შენი ლექსიც ასე ღვთაებრივია... შენ რომ სიმდიდრეში გაზრდილი ყოფილიყავი, ასეთი მოყვარული და ქომავი ქვეყნისა ვერ იქნებოდი. ვაშა იმათ, ვინც სიღარიბით გაიკაფავს გზას და სამშობლოს გაახარებს და აყვავებს. მე ვსიამოვნებ შენი კარგი ნამდვილი ადამიანობით.“

შენი მიხეილ მამულაშვილი“

ეროვნული
ბიზლირიცა

გორა, ერწო და ღუშეთი,
თუშეთი, გუდამაყარი,
ბურჯები ბანტრიონისა,
ურყევი, ლიბომაგარი;
ფშავის შრიალა ფშანები,
შევეები, შენი ჩარგლულა, —
შეპკარი, შეახმანე,
შეაქორიალე ჩანგურად.
შენი ხურჯინის ჭირიმე,
განა ამგვარი სხვაც არის?..
შიგ ხმიადები კი არა,
გქონია მთელი სიცოცხლის,
მარადისობის საგზალი...

112
21

ჩვენ ხშირად ვიყავით ძია მიშასთან.
საზღვარგარეთიდან თუ მოძმე რესპუბ-
ლიკებიდან ჩამოსულ ყველა სტუმარს ბო-
ლოს მის ზღაპრულ ბაღს ვათვალიერებ-
ნებდით. ძია მიშას უზომოდ უყვარდა სტუ-
მარი, განსაკუთრებით კი პოეტები და ხე-
ლოვნების მსახურნი!

მადლიანი მასპინძელიც გახლდათ. არა-
სოდეს მავიწყდება მისი კეთილი, ბავშვი-
ვით მორჩილი და დაუღლეო თვალები,
ყოველთვის რომ სიყვარულითა და სიკე-
თით იყვნენ აღსავსე და სტუმართ განწყო-
ბილების ამოკითხვას ცდილობდნენ. მი-
ხეილ მამულაშვილი განსაკუთრებულ პი-
როვნებად ჰყავდა მიჩნეული იოსებ ნო-
ნეშვილს და მისადმი პატივისცემას და
მოკრძალებს ყოველთვის საგანგებოდ
გამოხატავდა. მინდა გავიხსენო, როგორი
გულისტკივილითა და სიყვარულით გამო-
ეთხოვა იგი ბუნების დიდ ქომაგს:

სვეტიცხოვლის ბებერ გალავანთან
მოხუცი მეყვავილე დავმარბეთ...
თურმე სიკვდილის წინ,
ისე, ვით ახალგაზრდამ,
ჩაიცვა, დაიხურა, გალამაზდა,
ჰკოცნიდა ვარდებს და ბალახებს.
მისგანვე მსმენია, რომ სიკვდილ-
სიცოცხლე

ალალი და-ძმანი არიან
და როცა სიკვდილი გეწვევა...
იმ ოხერს
ლამაზად არ შეხვდე,
თამამად არ შეხვდე,
ამყად არ შეხვდე,
ბრალია...

ძველი კაცი იყო და ძველით ახალ წელს
მოუხმეს იმ ქვეყნის ზარებმა,
მცხეთა მისმიერმა ვარდებმა
დახანძრეს,

ეს შუქი ალაგზნეს
სულეთის წკვარამ გზებს,
შუქად დაადგება და დაემგზავრება.
მუდამ ბილილებით სავსე უბეებით,
წლებით წელმოხრილი, გამხდარი,
იდგა ბაღის კართან, თითქოს —
უბერები,


მაგრამ ჩასდგომოდა თვალითა უბეებში
დროის ქარიშხალი მსახვრალი.

სურდა უკვდავების ყვავილი ეპოვა,
ამბობდა: ვიშრომით, მოვებნოთ,
აქ არის...

მთელი დღე წალკოტში მზე ჰყავდა
მეგობრად,
მთვარეც ვარსკვლავეთის მეზღვე ეგონა,
მთვარე, ვით საწუთრო, ძველი და
ახალი.

...ახლა უკვდავების ყვავილი ნანატრი
იქნებ მის საფლავზე კიაფობს...
ალბათ ეს თუ არის სამარის კარამდის
ეძებე...

ეცადე მიაგნო...



ქართველი ხალხი გულთბილად შეხვდა
ახალი დროის არგონავტებს. „არგოს“
ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა, რომელ-
საც ტიმ სევერინი მეთაურობდა, მითო-
ლოგიური გმირის, იაზონის მიერ ზღვით
გაკვალილი გზა გააცოცხლა.
არგონავტთა მოგზაურობა მსოფლიო
საზოგადოების ყურადღების ცენტრში მო-
ექცა.

ქართველმა სწავლულებმა და ბერძენმა
არქეოლოგებმა ბევრი საინტერესო მასალა
დააგროვეს. ამ მოგზაურობამ ტიმ სევე-
რინს ნათელი წარმოდგენა შეუქმნა ჩვენს
წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის
კოლხეთზე — მაღალი კულტურის, განვი-
თარებული მეტალურგიისა და სოფლის
მეურნეობის ქვეყანაზე.

- „არგო“ ფოტის ნავსადგურში.
- ტიმ სევერინი ქართულ ჩოხაში.
- გულთბილი შეხვედრა ვანში.

ფოტო ა. რუხაძისა და ვ. სოკოლოვისა.



გეოგრაფიკა

კაფანდარა კაცი იყო კაცი, ასე სამოც წელს მიღწეული, რამდენიმე ღერი თმა მარჯვნიდან მარცხნივ ისე გულმოდგინედ ჰქონდა გადატანნილი, ხორბლის გარდა არავინ იტყოდა კაკია მელიოტიამო. თმა სახისფერი ჰქონდა, ხოლო სახე — თმისფერი. ბუნებაში არსებულ ფერთაგან, ამ ფერს ასე იოლად ვერც ერთს ვერ მიაკუთვნებდით. არც იყო საჭირო.

როგორც ამბობდნენ, პასპორტში სხვა სახელი ეწერა, მაგრამ რატომღაც ყველა კაკიას ეძახდა, და გაისმოდა დერეფნებში, ტელეფონის უკრებში, კაბინეტში თუ გაზეთების ჩიხურთან:

- ბატონო კაკია!
- პატივცემულო კაკია!
- ამხანაგო კაკია!

ამ სახელს ისე იყო შეჩვეული, ნამდვილი სახელი რომც დაგეძახათ, საკმაოდ მოწონებდა ყურების პატრონი, ყურებსაც არ გააპარტყუნებდა.

ერთ დღე დაწესებულებაში სახანძრო საქმე ებარა კაკიას. იმ სამი ოთახიდან, მენაძრეებს რომ ეკავათ, ერთი კაკიას კაბინეტი იყო. კაბინეტში მაგიდა, ტელეფონი, რამდენიმე სკამი და ტელევიზორი იდგა. სამსახურში ყოველდღე დადიოდა. კაბინეტში შევიდოდა, ფანჯარას დღივით გამოაღებდა, სავარცხელს ამოიღებდა (ეს უფრო მეტად ქარიან დღეებში იცოდა!) და დახლოებით ათიოდე წუთს მარჯვნიდან მარცხნივ გულმოდგინედ უსლაქუნებდა. მერე თანამშრომლებს დაუძახებდა.

- გელაშვილი სადღაა?
- ხომ იცით, ბატონო კაკია, რუსთავიდან დადის და... — იტყოდა რომელიმე გამბედავი თანამშრომელი (მენაძრეები იყვნენ და გაბედულება არ აკლდათ) და დაუმატებდა:
- როგორც კი მოვა, ვიტყვი, თქვენთან შემოვიდეს.

— კარგი, კარგი... იტყოდა კაკია და თუმცა გელაშვილის გარდა ყველანი იქ იყვნენ, თანამშრომელთა სიას მაინც ამოიკითხავდა. ასე ჰქონდა მიღებული და დადგენილი. გელაშვილს განსაკუთრებულ პატივს სცემდა კაკია. განათლებული ბიჭიყო, ამბობდა. კროსვორდს მაგასავით ვერც ერთი ვერ ხსნიო. ცოტა გადაკვრა კი უყვარს, მაგრამ რა უჭირს, ყველას რაღაცა უყვარს ამ ქვეყნადო, იტყოდა და მოწაულედ გაიღიმებდა. თავად კაკიასაც ოთხი რამ უყვარდა გამორჩეულად: მაგიდაზე წითელი

ფანჯრის კაკუნი, სიგარეტის გემრიელად გაბოლება (სახანძრო წესების დაცვით), ფეხბურთი და სკამი, რომელზედაც წლების მანძილზე ბეჭითად იჯდა. ავი ენები ამბობდნენ, კაკიას სახანძრო საქმისა არაფერი გაეგება და სკამიც დიდი კაცის დახმარებით სხვას წაართვაო, მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, დიდი კაცები იშვიათად სცდებიან და თუ ამ შემთხვევაში მაინცა და მაინც შეცდა ვინმე, რა კაკიას ბრალია. მეორეც ის, რომ ყველას მოგესხენებათ, ხელქვეითების უმრავლესობას არ მოსწონთ თავიანთი უფროსები და ათას რამეს მოუგონებენ ხოლმე.

კაკიასაც არ მოსწონდა ბევრი რამ ამქვეყნად, მაგრამ ჯავრს გულში იკლავდა. ხანდახან თუ ამოაყოლებდა სიგარეტის ნაფაზს თავის წუხილს და ეს წუხილი კვამლივით მალე იფანტებოდა, რადგან კაკიას დიდხანს ფიქრი არათუ არ უყვარდა, ფიზიკურად არ შეეძლო, მალე იღლებოდა. ერთადერთი, ამ ათი წლის მანძილზე, რაც ამ დაწესებულებაში მუშაობდა, გულს უღრღნიდა ერთი და იგივე დარღვი:

სახანძრო უფრო სწორად უხანძრობა. გულდათუთქული იტყოდა ხოლმე:

— შევარცხვინე ესეთი დაწესებულება, ათ წელიწადში ერთხელ მაინც სახანძრო რომ არ გაჩნდება, მა, ამდენი შტატი რისთვისაა, ან ხელფასს რისთვის გვიხდის?

— არა, ბედი უნდა კაცს, თორემ ერთი სახანძრო რა გახდა! — იტყოდა კაკია და სევდიანად ჩაიხვეწავდა ფილტვებში „პირიმის“ კვამლს.

კაკიას დომინო არ უყვარდა. ჰადრაკის გაგონებაზე ხომ მთლად ცოფებს ჰყრიდა.

— კაცი რომ ჰადრაკს მიუჯდება, ის რა კაცია. ჰადრაკი ქალებმა უნდა ითამაშონ და თამაშობენ კიდევაც... ვინაიდან დომინო და ჰადრაკი ბიჭის დღესავით ეჭვარებოდა, ხოლო ხანძარი არ ჩანდა, დილის თათბირის მერე ღრმად ჩაეშვებოდა სავარძელში, წითელ ფანჯარას მოიმარჯვებდა და რიტმულად აკაკუნებდა. კაკუნში ნელ-ნელა რული მოერეოდა, ახვრინებოდა, და ჰოი, ხოცრებოდა... ფანჯარის მაინც აკაკუნებდა.

კაკიას ყველაფერზე თავისი აზრი ჰქონდა და თანამშრომლებისაგან ამითაც გამოირჩეოდა. მისთვის უცნობი და უხილავი არა იყო რა. სტადიონზე და თეატრში თავის დღეში არ ყოფილა, მაგრამ საუკეთესო რეჟი-

სორად და ფეხბურთის ერთადერთ მწვრთნელად მიიჩნდა თავი. იმ დღიდან, რაც კაბინეტში ტელევიზორი დაუდგეს, მისმა განათლებამაც ფრთები გაშალა.

ფეხბურთის მეორე დღეს თანამშრომელთა სიას ამოიკითხავდა თუ არა, „პირიმის“ ამოიღებდა, დინჯად გააბოლებდა და იკითხავდა:

- ფეხბურთს თუ უყურებ გუშინ?
- ოო, როგორ არა, სტადიონზე ვიყავი, მშვენივრად ითამაშეს! — იტყოდა რომელიმე მათგანი და კიდევ რაღაცის თქმას დააპირებდა, მაგრამ კაკიას რომ შეხედავდა, პირზე სიტყვა შეაცივდებოდა,
- კი. მოიგეს, მაგრამ რას ჰგავდა ჩვენების თამაში... ვინ თამაშობს ახლა მანე. ძლივს მოაგეს, სხვის მოედანზე გავლენ და მაშინ ვნახოთ, რა ბიჭებიც არიან.

— კი მარა, რა ეშველება ჩვენს გუნდს? — შეეკითხებოდა ხოლმე ერთადერთი თანამშრომელი ქალი და მუდარით სავსე თვალებს კაკიას მიაპყრობდა.

კაკია აუჩქარებლად გადააწყობდა ფიგურებსა და გავითებს მარჯვნიდან მარცხნივ, რადგან ყველაფრის გაკეთება მარჯვნიდან მარცხნივ უყვარდა, ჩამქრალ სიგარეტს გააჩაღებდა, სავარძელში ჩამვრებოდა, ფილტვებისაკენ ღრმა ნაფაზს გააგზავნიდა, მოწაულედ ჩაიღიმებოდა, რის გამოც ხშირად ხველა აუტყდებოდა ხოლმე და დაიწყებდა:

— რამდენჯერ უნდა გითხრათ ერთი და იგივე, — პატრონი არ ჰყავს ჩვენს გუნდს, პატრონი. მე რომ მწვრთნელი ვიყო, ასე გავაკეთებდი: პირველ ტაიმში გუნდს დაცვაზე გადავიყვანდი, მეორე ტაიმის ოცდაათ წუთში შევტუტავდი, ორ ბურთს მაინც გავიტანდი, ხოლო ბოლო თხუთმეტ წუთს ისევ დაცვაზე გადავიდოდით, მე შენ გეტყვი და დაცვა არ გვივარდა!

— აგაშენათ ღმერთმა, ამას როგორ ვერ ხვდებიან! — იტყოდა რომელიმე თანამშრომელი და კაკიას მორცხვად შეხედავდა თვალებში.

— საქმეც მაგაშია, ბატონო. ამას რა დიდი მიხვედრა და გენიოსობა უნდა, მაგრამ პატრონი არაა, პატრონი, — იტყოდა კაკია და სათვალეს შუბლიდან ძირს ჩამოაცურებდა, რათა კარგად დაენახა თანამშრომელი ხომ არ დამცინისო, რადგან ჩვენი გუნდის ბედი თუ ასე უცბად გადაწყდებოდა, მგონი თა-

ვადაც არ სჭეროდა.

დღე დღეს მისდევდა, წლები წლებს. ერთ დღეს დაწესებულებაში ახალი დირექტორი დანიშნეს, ახალგაზრდა, ენერგიული კაცი.

ახალმა დირექტორმა იმით დაიწყო, რომ ოთახებში თამბაქოს მოწვევა და უავის მოდულება აკრძალა.

თუ ელექტროქურა არ ჩართეს, სიგარეტი არ მოსწივს, ხანძარს ისე რა ღვთის რისხვა გააჩენსო, მთლად გადაეწურა იმედი კაკიას. ამ შეტად მასშტაბურ ღონისძიებასთან დაკავშირებით ახალმა დირექტორმა კაკია დაიბარა და დაავალა: მკაცრად ედევნებინა თვალი, რომ ბრძანება არავის დაერღვია, ვინც არ უნდა ყოფილიყო.

კაკია პრაქტიკული კაცი იყო და უცებ იაზრა: რახან ხანძარს ვერ ვეღირებ, ახლა, ამ მშვიდობიანობის პერიოდში მაინც გამოვიჩინე თავსო და დაწესებულების რისხვად მოეგლინა. ყოველ დღით, თათბირის მერე წინ გაიგდებდა თავის ბიჭებს და დაუყვებოდა დაწესებულების დერეფნებს. ოთხი სართულის დღეში ორჯერ შემოვლა ხუმრობა საქმე არაა და კაკიაც მოთმინებით ეწეოდა ჰაბანს. გასაოცარი უფრო ის იყო, რომ კარგა ხანს უავის სმასა და სიგარეტის წვევაში ვერავის წაასწრო. თითქოს ყველამ ერთხმად შეჰკრეს პირიო. კაცს რომ ბედი არ ექნება, თორემ ჩუმ-ჩუმად სიგარეტსაც ეწეოდნენ და ყავაზეც ლაშათიანად მარჩიელობდნენ.

მაკვარანცი და ხვთის პირიდან გადავარდნილი ყველა დაწესებულებაშია, ჰოდა, არც ეს დაწესებულება იყო გამონაკლისი.

— ალო, ალო, კაკია ბრძანდებით?

— დიას.

— შინ-ე ოთახში რომ სიგარეტს ეწევიან და მთელი დღე ფეხბურთზე ყაყუნებენ, გძინავთ, ამხანაგო?

— ეს ოთახი, ამ დაწესებულებაში მესამე სართულზეა. თავისი ასაკისთვის შეუფერებელი ენთუზიაზმით აირბინა კაკიამ კიბეები, ფეხაკრეფით მივიდა კართან, მიაწვა, მაგრამ ჩაკეტილი აღმოჩნდა... მიაყურა. ჩამირეშოდა არ ისმოდა. ოთახი ხომ არ შემეშალაო, გაიფიქრა.

— ვინ გნებავთ, ბატონო? — კითხა მეზობელი ოთახიდან გამოსულმა ღამაშა გოგონამ დაბნეულ კაკიას.

— ეს ამხანაგი სად არის?

— ეგ ამხანაგი ორი კვირაა შვებულებაშია. რა გნებავდათ?



დროშა

სახალი და ღიღება თქვენ, კვირვასო ნინო!



ერთმანეთის მიყოლებით ცოცხლდება გარდასულ დღეთა მოგონება.

1921 წელი. დედის ალერსს დანატრებული ნინო მესხი იმ წელს ქუთაისის თამბაქოს ქარხანაში მუშად მიიღეს. მორიდებული ქალიშვილისათვის კოლექტივში არც სიტბო და უკლიათ, არც მზრუნველობა და ცოდნის მიღებაშიც გაუმართეს ხელი.

ჭერ კომკავშირელი გახდა, მერე, როცა ნინომ სალამოს საშუალო სკოლა დაამთავრა, დედაქალაქში გაამგზავრეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. გაემგზავრა მოსკოვს, ასპირანტურაში მოეწყო, მაღლე დისერტაციაც დაიცვა და შინ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მცოდნე და უნარიანი ახალგაზრდა ონის რაიონის მიწვანის გამგედ მიავლინა. ნინო მესხის არქივში ინახება რამდენიმე მადლობა, მან ონის რაიონში მიწათმოქმედების სწრაფი და საუკეთესოდ წარმართვისათვის რომ დაიმსახურა.

...იმ საბედისწერო ღამეს, ნინო ონის მაღალმთიანი ზონიდან რაიონის ცენტრში ბრუნდებოდა. დაღმართზე ცხენს ფეხი დაუსხლტა. ნინო უნაგირიდან გადმოვარდა, ლოდს დაასკდა და მენჯ-ბარძაყის ძვალი მოიტეხა.

მორჩა! ყველაფერი თითქოსდა უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ნინო არ შემდრკალა. სულის სიმტკიცემ, ჭირსა შიგან გამავრებამ მას უჩვეულო ძალა და შემართება შემატა.

სარეცელიდან ყავარჯნით წამომდგარი ნინო რამდენიმე თვის შემდეგ საგურამოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს ჩაუდგა სათავეში.

საქმემ წარმოაჩინა. 1938 წელს ნინო მესხი დააწინაურეს და თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს. იგი პირველი ქართველი ქალი იყო, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი გახდა.

არ დაცხრა, ავადმყოფობას არ შეუშინდა.

მოემზადა, მოეწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში და ისიც წარჩინების დიპლომით დაამთავრა.

არც ეს იკმარა. სამუშაოსაგან მოუწყვეტილ, 26 კომის-

რის სახელობის კომუნისტური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

სად არ მუშაობდა: სამედიცინო ინსტიტუტის კათედრაზე, დმანისის რაიონის სამშობიარო სახლში, ქალთა კონსულტაციის მთავარ ექიმად, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის მთავარ ექიმად, თბილისის ოქტომბრის რაიონის ბავშვთა ინფექციური განყოფილების გამგედ...

— პარტიაში ყოფნის რამდენი წლის სტაჟი გაქვთ? — სიტყვას ვურთავ მოგონებებში ჩაფლულ ნინოს.

— სამოცი.

ნინო დაცურებულ ყავარჯენს ასწორებს და ზღვას გადასცქერის.

ვეტერანებისთვის აქ დასვენების კარგი პირობები შეუქმნიათ. ყველგან წესრიგი სუფევს, ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობა.

— რაც შემეძლო, ერთგულად ვემსახურე ხალხს...

ხმადაბლა ამბობს ფიქრებში წასული ნინო მესხი.

ეს სამსახური უკვალოდ არ დაკარგულა. ამაგდარმა ქალმა მშრომელთა დიდი პატივისცემა და უანგარო სიყვარული მოიხვეჭა.

პირა კუპრაშვილი

— არა, არაფერი, ისე ვიკითხე... თქვა კაკიტამ და ნელა გაუყვა დერეფანს.

ერთ მშვენიერ დღეს, მორიგი ჩამოვლის კაკიტამ მისი აზრით საეჭვო ოთახში შეიხედა. ოთახში რამდენიმე ქალი და ერთიც ორმოცდაათ წელს გადაცილებული, თმაგაპუტული და ყუბჩაგარდნილი მამაკაცი იჯდა. ფანჯარასთან მაგიდა იდგა. იმ მაგიდასთან ერთი გაფაშფაშებული დედაცა იჯდა და ბარაქიანად აბოლენდა. ყველანი მას შესცქეროდნენ, როგორც ჩანს, რაღაცა საინტერესოს ჰყვებოდა. კაკიტას შემოსვლა მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როცა ამ თმაგაპუტულმა მამაკაცმა პირდაპირ მჭლომ დედაკაცს ანიშნა. ეს დედაკაცი ამ ოთახის უფროსი იყო.

იცნო ქალმა კაკიტა. იცნო და მოკლედ მოუჭრა:

— ამხანაგო, ეს ქალი ჩვენი მოსკოველი სტუმარია და როგორც ნებაგ ისე მოიტყევა. შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ამბაკოვიჩის (დირექტორის) მოახსენოთ.

ეს ბოლო სიტყვა ისე დამცინავად თქვა, რომ კაკიტას ჭერ მარჯვენა უფრე მოედო ცეცხლი, ხოლო მერე მარჯვენაზე. საერთოდ, კაკიტას წყენაცა და სიხარულიც მარჯვნიდან მარცხნივ უვიტარდებოდა. უხერხულად შეიშოშოშნა კაკიტა, რადგან დანამდვილებით არ იცოდა, სტუმრებზეც ვრცელდებოდა თუ არა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭირო ესოდენ ჰუმანური კანონი. რაღა ეთქმოდა. ეშმაკიც ვერ გარკვევდა, ამხელა დაწესებულებაში ვინ მასპინძელი იყო და ვინ სტუმარი, თანაც მოსკოველი. რაღაც ჩაილულულა და კარები გამოიხურა.

ქალების კისკისი მოაწედა შიგნიდან კარებს. დერეფანს გაუყვა და ინერციით სხვა ოთახის კარი შეადო. ოთხი ქალი უჭდა ოთხ მაგიდას. სამნი აბოლენდნენ, ხოლო მეოთხე გაჯეთზე გადმობრუნებულ უავის ფინჯანის დაწრეტას ელოდა. იგი ამ დერეფანში ცნობილი ყავაზე მომარჩიელი გახლდა. გაუთხოვარი იყო და გათხოვების იშვლად აღარც ჰქონდა, ამიტომ მთელი ნიქითა და შესაძლებლობით თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა. მარჩილო-

ბისა და სხვადასხვა ქალური თვისებების გამო თანამშრომლებში და განსაკუთრებით იმ ოთახში, სადაც იგი 15 წელი ერთ მაგიდასთან იჯდა, დიდი ავტორიტეტი დაემსახურებინა და კიდევაც იყენებდა. ქალაქში დღენიადავ დადიოდა. ახალი ჭორებითა და სხვადასხვა საინტერესო ამბებით დატვირთული იმ დღეს თუ არა, მეორე დღეს დაბრუნდებოდა ხოლმე და შესვენებაზე ცხოვრების გარდაქმნის პრობლემებზე მსჯელობდა.

— მობრძანდით. ბატონო კაკიტა... აგერ, აქ დაბრძანდით! — წამოდგა ერთ-ერთი მათგანი და სკამი შეაგება. მერე კი ყველამ ერთხმად წამოიძახა:

— კი, ბატონო, სიგარეტს ვეწვეით. ყავასაც ვსვამთ, ელექტროლუმელიც გვაქვს, წესრიგს არ ვემორჩილებით, მაგრამ, ძვირფასო ადამიანო, რა ვქნათ? ქალები ვართ, ჩაცმა-დაბურვა გვინდა, ცხოვრება გვინდა, თუ არ ვიპორავთ, დავკვებით... ერთხელ მოვდივართ ამქვეყნად, მეორედ ვილაგავაჰყავანებს... თქვენც ასევე, კაკიტა საყვარელო, განა თქვენ კი მეორედ

მოხვალთ... რატომ უნდა ავუშალოთ ერთმანეთს ნერვები. არ ჯობია, ტუბილად ვიყოთ, თბილად ვიყოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი. თქვენ გაასწორებთ ბატონო კაკიტა, ამ დაწესებულებას? ეს დირექტორიც, ასე რომ ფაფხურობს, დღეს არის და ხვალ ვინ იცის, ვინ მოვა. მობრძანდით აგერ „მალბორო“ მოსწიეთ, ყავა მიირთვით... დაავიწყდა კაკიტას კაკიტა რომ იყო, — სახანძრო დაცვის უფროსი, რამდენიმე სიგელითა და ორი მედლის კავალერი. გაახსენდა ცოლ-შვილი, მეზობლები, საცივი და თავისი ზღვით დაწურული შავი ღვინო, ლედვის ხე, სამურაბე ქილები, სხვაც მრავალი და მოლბა კაკიტა... მოტყუა კაცი, თვალზე ცრემლი მოერია...

ამის მერე არავის უნახავს კაკიტა თავისი კაბინეტთან თანამშრომელთა შესამოწმებლად გამოსული. იქდა თავის მაგიდასთან, წითელ ფანჯარს უაკუნებდა და ელოდა, მაგრამ რას ელოდა უკვე თავადაც არ იცოდა. იქნებ იცოდა კიდევაც, მაგრამ აღარ სჩეროდა.



კოთხეცა

კოთხეცა

— ზოგიერთს კი აქვს ამის საშუალება, არც ღვინო და არაუი სწყენთ, — ცალყბად ჩაიცინა ნიკომ. — დაღვეენ და მეორე დღესაც კამფეტებით არიან.

— უ-უჰ, რა სისულელე ჩავიდინე! — გაბომ საფეტქლები მოისრისა.

— სად დალიეთ? — იკითხა ნიკომ და, ცოტა არ იყო, შურით გახედა ამხანაგებს.

— იაკობასთან, სასადილოში. ერთი მაგისი... — ბრაზით ჩაიდუღუნა გაბომ. — კაცო, ეს რა დაგვალევიან ამისთანა?

— ან რამდენი წაიღო, როგორ იანგარიშა? — დაუმატა კიუტმა და ნიკოს გადახედა. — ბიჭო, ფული ხომ არა გაქვს, საღამოს დაგიბრუნებდი...

— საიდან? — მხრები აიწურა ნიკომ. — მე ხომ გუშინ არ მიმუშავია.

კიუტმა ცალყბად ჩაიცინა.

— ოთხი მანეთი მაქვს, — გაეცინა ნიკოს. — ეს ოთხი მანეთი თუ თქვენს გასაჭირს უშველის, ჩემი თავი გენაცვალთ.

— ბიჭო, ოთხი მანეთით შევიდე სასადილოში? კარგად შეინახე, არსად დაგეკარგოს ეგ „თანა“.

— დიდი სიამოვნებით მოგართმევდით მეთხაც, რომ მქონდეს.

— ეეჰ, გამონდეს მაინც დროზე ვინმე! — ერთხელაც მოისრისა გაბომ საფეტქლები. შემდეგ კარადის უკრა გამოაღო და ვაშლი იმოვა. ხალათის კალთით გაწმინდა, შეატარია ხელში და გახლჩა მოუნდომა. ეწვალა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, ვეღარ გახლიჩა ნაღვინევა ვაშლი.

— დანა არ გაქვთ? — იკითხა და კიუტისკენ შებრუნდა. — მოიტა, ვაშლი ვჭამოთ.

— არა, — უხალისოდ შეატრიალა სავარძელი კიუტმა, ზურგი შეაქცია.

— მარო! — ახლა დამლაგებელს მიუბრუნდა გაბომ. — მარო, მათხოვე დანა!

— დანა რომ მქონდეს, ქე გამოვიპირიდი ყელს თქვენი შემყურე, — უპასუხა უკმეხად მარომ.

— შე ქალო, ამისთანა სიკეთეს თუ იწამ, აგერ სამართებელს გათხოვებდი...

— შენც მოისვენებდი და ჩვენც. — დასძინა ნიკომ.

სიჩუმე ჩამოწვა.

კიუტმა, მოულოდნელად სავარძლის საიდაყვეებს ხელი დაჰკრა, წამოდგა და ლექსი თქვა.

„მუამბერე ამუსერი ნოეში პელეტი ოღასია“...*

გაბომ და ნიკომ ღიმილმორეულნი მიაცირდნენ ამხანაგს, მაგრამ როცა ლექსი ჩაათავა მინცდამაინც არ აღფრთოვანებულან. ალბათ, უფრო მაროს ხათრითაც.

— ეეჰ, მე ახლაც მთვრალი ვარ, — უხალისოდ ჩაიქნია ხელი კიუტმა. — ჭერაც ვერ გამოვსულვარ წუხანდლიდან...

საღალაქოში ჰალარა, სიმპათიური გარეგნობის კაცი შემოვიდა. წამით კარებთან შეეყვანებულმა, დარბაზში მყოფნი შეათვალიერა და შემდეგ მიესალმა.

დალაქები წამოდგნენ, საღამოზე თავაზიანი საღმთოვე უპასუხეს. კიუტმა კი ჰალარას ხელი ჩამოართვა, მოიკითხა. გაბომ და ნიკომ შებრუნდნენ. ჰალარა კიუტთან იპარსავდა წვერს.

— წვერი მინდოდა გამეპარსა, — თქვა შემოსულმა, — აფხაზეთში მივდივარ ქორწილში.

— მობრძანდი! — კიუტმა ნელა, აუჩქარებლად გამოაჩინა სავარძელი და საპარსი ხელსაწყოების ამოღებებს შეუდგა უკრიდან, — ვისი ქორწილია? — იკითხა საქმეში გართულმა.

* რა ამბავია ამდამ ნოეს დიდ ოღაშიო...

ახალი ამბების ცოდნა ალბათ, ისევე აუცილებელია დალაქისთვის, როგორც პროფესიული ოსტატობა.

— ქორწილი? ერთი ჩემი მეგობარი კაცია, ზაური ავიძბა... მისი ნათესავისაა, — უპასუხა ჰალარამ. — უჰ, რა ჯობია აფხაზურ ქორწილში ქიეფს! — თქვა გაბომ.

— შამფურზე აშიშინებული ერჯის კუპატები!..

— ფაშა-ფუშკი რომ გაუღის შიგბროწეულს, აა? — დასძინა ღიმილით ნიკომ.

— ჩვენ კი „სალიანასა“ და მუავე ღვინოს გადავყვით წუხელ...

— საინტერესოა, ექნებათ ქორწილში კუპატი?

— აფხაზეთში ექნებათ, სტუმრებს მაინც მიაართმევენ.

— არა მგონია, ქორწილში კუპატი აუცილებელი არაა, — თქვა კიუტმა.

— კიუტი ხომ აფხაზური გვარია, შენ საიდან შეგარქვეს? — ჰკითხა ღიმილით ჰალარამ.

— მამარემს ბევრი აფხაზი მეგობარი ჰყავდა და ერთ-ერთი მათგანის ხათრით.

— კარგია!

ჰალარას შალვა ერქვა. ამაყი, ყველაფერში გარკვეულ-გაგებულნი ვაუკაცი იყო. მან საღალაქოში შესვლისთანავე შენიშნა, კიუტს ხელები რომ უკანკალებდა და სავარძელში ჩაჭდომას უკვე აღარ ჩქარობდა, მაგრამ უცებ შებრუნება და წასვლაც ეუხერხულა, რადგან ისიც ნახა, კიუტმაც რომ შენიშნა მისი ყოყმანი.

— მეცით პატავი, — მიმართა დალაქებს, — აგერ გვერდით სასადილოში შევიდეთ და ას-ახი გრამი გადავკრათ. მეც დაბეული წამოდექი, იქნებ გამომავეთოს.

დალაქებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჭერ იმ საქმეს მოვრჩეთ, რისთვისაც მოსულხარ, — უპასუხა კიუტმანთ კიუტმა. გაბომ ანიშნა, შე-

გაზაფხულის მზის სხივებს მხიარულად ირეკლავდა გვერდი-გვერდ ჩამწკრივებული მაღაზიების, სასადილოსა და საღალაქოს ფართოშუშებიანი ვიტრინები.

საღალაქოში იაფფასიანი ოდეკალონის, საპნისა და სარეცხი ფხვნილის სუნი იდგა. დარბაზში სულ რამდენიმე კაცი იყო, სამი დალაქი და ერთი დამლაგებელი ქალი.

დალაქები სავარძლებში იხსდნენ. ზანტად მუსაიფობდნენ. ადრიანი დილა იყო, მუშაობა ჯერ არ დაეწყოთ. დამლაგებელ ქალს იატაკი უკვე გაერეცხა. ახლა სუფთა, სველი ჩვრით შემოსასწვლელი კარის შუშებს სწმენდა. ცალი ყური კი მოსაუბრეებისკენ ჰქონდა დატყვეტილი. პირმოკუმული, პირდაპირ შუა საუკუნეების მორალისტი ინკვიზატორის სახით უსმენდა მათ.

— ასე ალიონზე რამ წამოგაყენა? — ეკითხებოდა გაბომ კიუტს. — ქათამივით ხის ტოტზე ხომ არ გძინებია, შე კაცო?

— ნაღვინევე ასე ვიცო, — უპასუხა კიუტმა ჩახლჩილი ხმით და გაჩუმდა.


— ჰო, საერთოდ მეც ასე ვარ ხოლმე, — დაწითლებული თვალები მიანათა ამხანაგს გაბომ. — ზოგი ნაღვინევე მთელი დღე იგორავებს ლოგინში, ისეთ კაცს რა უჭირს...

ნი ადგილი დაიკავებო, სავარძელთან.
 — აჰ, რა მერქარება! — ხელი ჩა-
 იქნია შალვამ. კარებისკენ გაემარ-
 თა, — ჰა, წავედით? — იკითხა.
 — კიუტმა ამოიხვნეშა. ნელა, უხა-
 ლისოდ გაიხალა ხალათი.
 — რახან არ იჭერებ... — ჩაილა-
 პარაკა შუბლშეკრულმა, — კარგი,
 მოვბრუნდებით და სულ სისინ-სისი-
 ნით გაგაბრახავ.
 — რა თქმა უნდა, განა არ ვიცი
 შენი ხელი? — დაუმოწმა შალვამ.
 სასადილოში სამნი შევიდნენ. ნი-
 კო არ წასულა. სამუშაო საათები
 უკვე დაიწყო და სადღაპოს უპატ-
 რონოდ მიტოვება არ ივარგებდა.
 სასადილოს წაგრძელებულ, ვიწრო
 დარბაზში, კუთხის მაგიდას შემოუს-
 ზდნენ.
 შალვას უხაროდა გუნებაში ასე
 ადვილად რომ დაუსხლტა სამარ-
 თებელს. არ უნდოდა, სახედაფხაჰ-
 ნილი წასულიყო ქორწილში.
 არაყი და მინერალური წყალი შე-
 უკვეთა მიმტან ქალს.
 — რა შეეკამოთ? — იკითხა შემ-
 დემ.
 — მე პირადად, არაფერი. — თქვა
 გაბომ. — არაყს ჩავცეცხლავ და
 გავვარდები.
 — რას ჰქვია „გავვარდები“, რამე
 შევაწვევინოთ, იქნებ კუპატიც ჰქო-
 ნდეთ! — ამჯერად კიუტს შეხედა
 შალვამ. — შენ მაინც ამოიღე ხმა,
 მე მერიდებით, შე კაცო?
 — რატომ სწუხდები, — კიუტმა
 ამოიხვნეშა, — დავაყოლოთ რამე
 მსუბუქად, სხვა არაფერია საჭირო.
 — ახალი ხორცის კარგი, წიწაკი-
 ანი ხარჩო გვაქვს! — გამოსძახა

მზარეულმა. იმას კიდევ გაფიფინე-
 ბული უღვაშები გამოეყო სამზარე-
 ულოს პატარა სარკმლიდან და დიდი
 ცნობისმოყვარეობით იყურებოდა
 დარბაზში.
 — მოიტა ხარჩო, — შალვას გაუ-
 ხარდა, — ყველი და მუვეც მოა-
 ყოლეთ.
 — მოგართმევთ! მზარეული დიშ-
 ილით მოშორდა სარკმელს.
 არაყი ჩამოასხეს. მწვანილი, ყვე-
 ლი და მუვეც მოიტანა ქალმა და მა-
 დისმომგვრელი სუნიც აფორიაქდა
 სუფრაზე.
 — აბა, გაგვიმარჩო-ოს! — შალ-
 ვამ ჰქია ასწია.
 — კარგად ვიყოთ!
 — ღმერთი იყოს ჩვენი მფარვე-
 ლი, — დაუმატა კიუტმა.
 ხარჩო მართლა კარგი გამოდგა,
 მოეწონათ. გაბომ და კიუტი იღნავ
 გამოცოცხლდნენ, ფერზე მოვიდნენ.
 როცა თითოც ჩამოასხეს, შალვამ
 ბოთლი შეათვალიერა. არაყი ცოტა
 ჩარჩენილიყო, სამად არ გაიყოფოდა.
 — ერთიც მოგვითანეთ. — მიმ-
 ტან ქალს ბოთლზე ანიშნა.
 წამით გაბომაც შეავლო თვალი
 ბოთლს, მაგრამ არაფერი უთქვამს.
 კიუტმა კი ხელები გაასვსავა.
 — ოჰ, შალვა, თუ ძმა ხარ, ნუ
 იზამ ამას!
 — დავლიოთ თითოც... შე კაცო,
 აბა, ეს ახი გრამი ის ხომ არაა, წა-
 მალი?
 კიუტმა დაკვირვებით ჩახედა თვა-
 ლებში და ამოიხვნეშა. შემდეგ, ხე-
 ლი ჩაიქნია.
 მესამე ბოთლი რომ დაილია, გა-

ბომ სუფრის წვერებს გადახედა და
 ხმადაბლა სიმღერა წამოიწყო. შალ-
 ვა მაშინვე აპყვა:
 „მალლა ცაში ავფრინდები,
 გაღმოვხედევ ქვეყანას,
 მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვნი,
 ჩემი სამშობლოსთანას...“
 კიუტი უხმოდ იჯდა. მოლუშული
 უსმენდა. შალვამ წამით თვალი შე-
 ავლო, — „აწი, ტიფი ჩაგიჭდა სავა-
 რძელშიო,“ — გაიფიქრა და ტკბი-
 ლად გაუღიმა.
 — რა იყო? — კიუტს გაეცინა.
 — არაფერი! — თვალები აარიდა
 შალვამ.
 ცნობისმოყვარე მზარეულის ფი-
 ფინა უღვაშში ისევ გამოჩნდა სარ-
 კმელში. ამჯერად ტაფაში ჩაშუშული
 „ოსტრი“ გადააწოდა მიმტანს.
 — შეგიკამე ღიმილი! — შეუბ-
 დვირა კიუტმა. — მოხურე ეგ ფან-
 ჯარა, სხვა საქმე არა გაქვს?
 — ეგაა ჩემი საქმე. — მზარეულს
 გაეცინა.
 — მოხურე-მეთქი! — „გაბრაზ-
 და“ გაბომ. კიუტს გადახედა.
 კარგა ხნის შემდეგ მიაცილა „ბი-
 ჭები“ შალვამ სადღაპომდე.
 — აბა კარგად გნახეთ! — უთხრა
 დინჯად კარებთან მისულმა და საათს
 დახედა.
 — წვერი? — ჰკითხა კიუტმა.
 — რა წვერი!
 — არ იპარსავ?
 — აა, წვერი?... შემოგივლი ერთ...
 საათნახევარში, — შალვამ წვერზე
 ჩამოისვა ხელი.
 — შემოდი. სულ ხუთი წუთის სა-
 ქმეა, გაიპარსავ და წახვალ.
 — აჰ, აწი უკვე მაგვიანდება.
 — კი მარა...

— უნდა წავიდე, კაცი მელოდება
 ერთი, — გაუღიმა შალვამ.
 კიუტმაც გაუღიმა.
 — მოიწმინდე ტურჩები, რაცხა ნა-
 მცეცი შეგრჩენი, — ფაქრის შემ-
 დემ მზრუნველად.
 — ოჰ, — შალვამ მადლობასავით
 წამოიძახა და თეთრი, გაქათქათებუ-
 ლი ცხვირსახოცი ამოიღო.
 კიუტმა კი ეშმაკური რაღაცა ჩა-
 ილაპარაკა და, გაოგნებული შალვა
 სანამ რამეს მოიფიქრებდა პასუ-
 ხად, გამბიარულბული გაუჩინარდა
 კარებში.
 — ოჰ, მე შენი... ცხვირი შევარ-
 ცხვინე, შენი! — ესლა დაადევნა
 შალვამ. მიმოიხედა. კიდევ კარგი,
 ირგვლივ რომ არავინ იყო.
 სადღაპოს გამოხურულ კარებს
 ერთხელაც შეავლო თვალი ღიმიო-
 რეულმა და ქუჩის მეორე მხარეს,
 ჰაღრების ხევივისკენ გაემართა.
 — სულ ეშმაკებითა აქვს სავსე
 ის გაბერილი მუცელი, — უთხრა
 გუნებაში ვილაცას და ამოიხვნეშა.
 კიდევ კარგი, რომ დალაქია, არ უს-
 წავლია მაგ მაიმუნს, მაგას...
 ბულვარის ბოლოს, მერხზე ჩამო-
 ჯდა.
 — უჰ, კი კაცო, ამაში სწორედ
 რომ ღმერთმა „გაღმოგვხედა“, —
 დაუმოწმა იმ „ვილაცამ“ და შალვას
 ხმამალა გაეცინა... მერე შემცბარ-
 მა მიმოიხედა.
 ბოტანიკური ბაღიდან კი საუკუ-
 ნოვანი ჰაღრების ხევის მთელ სი-
 გრძეზე დადიანების მოჩუქურთმე-
 ბულ-მოქარგულ ავინიანი სასახლის
 ჩავლით, უხმოდ მილივიციებდა
 ბეტონის ვიწრო არხში მიშვებული,
 წყაროსავით ცივი, ანკარა ღელე...



თბილისის ძველ უბანში.

წინ დიდი გზაა

გაბრიელ გარჯაია

ლეგენდა გადმოგვიცემს: სკანეთში, ფრიალო კლდეებზე მოხეტიალე უპირველესი მონადირე ბეთქილი იყო, ბეთქილის მერე — ჩოლა, ჩოლას შემდეგ — კობლანი.

ფრიალო კლდეებზე მთარულ ამ ლეგენდარულ სახელებს ჩვენმა თანამედროვეობამ „მთის ვეფხვის“ — მიხეილ ხერგიანის სახელიც შემატა.

ერთი ჟურნალისტი წერდა: როცა ხერგიანის გვარს გავიგებ, ასე მგონია, ამ მოდგმის წარმომადგენელი აუცილებლად მთამსვლელი უნდა იყოსო.

მიხეილ ხერგიანი ტრაგიკულად დაიღუპა. გამოხდა ხანი, 17 წლის პაუზის შემდეგ, ალპინიზმში საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდებას ისევ ხერგიანი დაეუფლა. იგი „მთის ვეფხვის“ — მიხეილ ხერგიანის ალალი ბიძაშვილი აკაკი ხერგიანი იყო.

ყველა ჭეშმარიტი ალპინისტის ოცნებაა, მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე ასვლა. ეს სასურველი ოცნება მიხეილ ხერგიანს აუხდენელი დარჩა. ხერგიანი მაინც გაეშურა ევერესტისაკენ — ოლონდ ამჯერად აკაკი ხერგიანი.

ვიდრე ევერესტის დასაღწერად შერჩეულ ალპინისტთა ნაკრებ გუნდში შეიყვანდნენ, აკაკი ხერგიანმა მწვერ-

ვალებთან ჭიდილში დიდი და სახელოვანი გზა განვლო.

თხილამურებით დაიწყო. კლდეზე ცოცვაშიც გამოსცადა ძალა. თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტი მალე ისევ მთაში აბრუნდა და ზედიზედ რამდენიმე ალპინისტურ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა.

1975 წელს აკაკი ხერგიანმა სარეკორდო დროში — ერთ თვეში დალაშქრა ნურუნგალის მწვერვალი, აილამას ბასტიონი, უშგულის ციცაბო კლდეები.

მომდევნო წლებში, ქართველმა მთამსვლელმა კავკასიონის თითქმის ყველა მწვერვალი დაიპყრო.

ჯერი პამირზე მიდგა.

აკაკი ხერგიანი სათავეში ჩაუდგა სამაშველო ჯგუფს, რომელიც პამირზე, მოსკოვის პიკის რაიონში მოქმედ ალპინისტებს იცავდა.

აკაკი ხერგიანი მალე ქართველ ალპინისტთა ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნეს. ამ ჯგუფმა, უმოკლეს ხანში, წარმატებით დალაშქრა 7.495 მეტრი სიმაღლის რთული მწვერვალი — კომუნის პიკი.

წარმატებას ახალი წარმატება მოსდევდა. აკაკი ხერგიანი თანდათან იკაუებდა სხეულს, იმაგრებდა მუხლს, იმუშავებდა გამძლეობას, უფრო და უფრო ხვეწდა და სრულყოფდა ალპინისტურ ოსტატობას.

და აი, დადგა სანატრელი დღე.

გამობრძმედილი ქართველი მთამსვლელი ჰიმალაიზე გასამგზავრებლად მიიწვიეს.

ევერესტზე ლაშქრობის სამზადისი 1980 წელს დაიწყო. სპორტსმენების შესარჩევად საგანგებო კომისია შეიქმნა. მრავალდარგოვანი კომისიის მიზანი იყო, ძირფესვიანად შეესწავლა ევერესტის ექსპედიციის თითოეული კანდიდატი და ზუსტად დაედგინა მისი მაქსიმალური შესაძლებლობანი.

აკაკი ხერგიანი რჩეულთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა ალპინისტი აღმოჩნდა ფიზიკური, სულიერი და ტექნიკური მონაცემებით.

1982 წლის გაზაფხულზე დაიწყო ჰიმალაის უმაღლესი მწვერვალის ევერესტის შტურმი.

აკაკი ხერგიანს კინოოპერატორობა დაავალეს. მას ურთულესი ფრიალო ადგილებიდან დეტალურად უნდა გადაეღო მწვერვალისკენ დაძრული 17 სპორტსმენის მოძრაობა და თავისი წვლილი შეეტანა ისტორიული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის შექმნაში.

აკაკი ხერგიანს თავისი გამბედაობით, გაუტეხლობით, მონერხებულობითა და ოსტატობით ყველა აღტაცებაში მოჰყავდა.

საბაზო ბანაკიდან, რომელიც ზღვის დონიდან 5.300 მეტრზე იყო დაცემული, 7.850 მეტრი სიმაღლეზე ოთხჯერ ავიდა სა-

განგებო დავალებით: მას მონიერივე ჯგუფის წევრებისთვის სამარშრუტო ტრასაზე უანგბადის ბალონებმა დაქონდა. აკაკი ხერგიანი ურთოდესი სპორტსმენი იყო, რომელსაც ნება დართეს, კინოგადაღებების დროს, მარტოდმარტო ევლო და დამოუკიდებლად ემოქმედა.

ქართველი ალპინისტი საოცარი სიზუსტით მოძრაობდა, ყოველგვარ საფრთხეს დროულად იცილებდა თავიდან და ფირზე აღბეჭდვდა უნიკალურ კადრებს.

1984 წლის 4 მაისს საბჭოთა მთამსვლელებმა ვლადიმერ ბალაბერდინმა და ელდუარდ მილსოვსკიმ ფეხი შედგეს ევერესტის მწვერვალზე. ცოტა ხნის შემდეგ დედამიწის უმაღლესი მწვერვალი კიდევ ცხრა საბჭოთა მთამსვლელმა დაიპყრო.

ბოლო სამკაცისანი ჯგუფი, რომელშიც აკაკი ხერგიანიც შედიოდა, ევერესტისკენ დაიძრა.

ამინდი გაფუჭდა, ქარმა იმძლავრა, ფრიალო კლდეებიდან ხმაურით ცვიოდა ყინულის ვეება ნატეხები.

და მაშინ, როცა მწვერვალამდე თითქმის აღარა იყო დარჩენილი, ექსპედიციის ხელმძღვანელმა ევეგენი ტამბა ბრძანა, შტურმი შეეწყვიტათ.

ასეთი რამ იშვიათად ხდება: ევერესტის ლაშქრობაში უზადო ოსტატობისა და ტიტანური სპორტული გარჯისათვის, სპორტის ოსტატობის კანდიდატს აკაკი ხერგიანს პირდაპირ მიენიჭა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის უმაღლესი წოდება.

წინ კიდევ დიდი გზაა.

ევერესტზე მომავალი ლაშქრობისათვის აკაკი ხერგიანი ამთავითვე იჭერს თადარიგს.

თავმდაბლობა

პარეზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულების გამო, განუზრახავთ სადილი გაჰმართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული“.

ი. გოგებაშვილმა, გაეცნო თუ არა ხსენებულ საჯარო განცხადებას, მაშინვე გაუგზავნა „ივერიის“ რედაქციას შემდეგი წერილი: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სჩანს. ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამომართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვასხენებ და გთხოვთ დიდი თხოვნით, ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადო-

ებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარმოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზე უზომოდ მეტი გაუტეხებიან. ჯერ იალბუხსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერმე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ.“ („ივერია“, 1900 წ. 21 აპრილი).

ვფიქრობთ, ქართული პედაგოგიის ფუძემდებლის ეს პატარა წერილი მრავლისმთქმელია. სწორედ ი. გოგებაშვილისა და მისი მსგავსი მოღვაწეების შესახებ უთქვამთ: ჭეშმარიტად დიდებულმა გენიოსმა თვითონვე იცის საზღვარი თავისის ნამოქმედარისა და იფარგლავს წრეს მოღვაწეობისას, რომლის შუაშიც უნდა იმოქმედოს იმისმა ჭკუამ, რომ ნაყოფიერი იყოსო.

გიორგი გაბუნია

გდინარის გოლიათი

ეს ამბავი ხარკოვის მახლობლად სოფელ დვურენიაში მოხდა.

კოლმეურნეების იხვებს ქურდი შეეჩვია და მუსრი გაავლო. იხვეები საღამო ხანს იკარგებოდნენ, მაშინ, როცა მდინარე ოსკოლის პირას ჩაივლიდნენ და შინისკენ გამოეშურებოდნენ.

ქურდის მხილება სოფლის მკვიდრებმა, შოფრებმა ა. ბონდარენკომ, ვ. მიროშნიჩენკომ და ვ. ოსტაპენკომ ითავეს.

რამდენიმე იხვს მათ ფეხზე კაპრონის ბაწარი გამოაბეს, ბაწრის მოკლე წვერზე ანეის მიამაგრეს, მეორე გრძელი წვერი ხელში დაიჭირეს და მდინარის პირას ბუჩქებს ამოეფარნენ.

მალე ყველაფერი გაირკვა.

ის-ის იყო იხვებმა მდინარე ოსკოლში შეტოპეს და ჭყუმბალაობა დაიწყეს, რომ ერთი მათგანი მოულოდნელად აფართხალდა. ჩასაფრებულმა ბიჭებმა კაპრონის ბაწარი გამოსწიეს, წყალში ლოქო ამოტივტივდა.

ლოქოსთან ჰიდელი კარგა ხანი გაგრძელდა. ოსკოლის სანაპიროზე ამოთრეული ლოქოს სიგრძე ორ მეტრამდე აღწევდა, მდინარის გოლიათის წონა კი ორმოც კილოგრამზე მეტი იყო.

საახალწლო სუფრას დაამგვინებს

უზბეკეთში ააშენეს უზარმაზარი საცავი, რომელშიც, უძველესი ხალხური მეთოდით, დიდხანს შეიძლება შეინახონ ნესვი და საზამთრო.

საგანგებოდ გამოიწვარი აგურით ნაგებ საცავს არც კარი აქვს, არც ფანჯარა, შენობას გარემოსთან მხოლოდ მიწისქვეშა ხვრელი აკავშირებს.

საცავის ნაჩვრტიანი სახურავი ჩალით, ლერწმითა და ხის გამომშრალი ტოტებით იფარება. ნესვს და საზამთროს ფლავენ ქვიშაში, რომელიც მიწის იატაკზე ორი მეტრის სიმაღლეზეა დახვავებული.

ამ მეთოდით შენახული საზამთრო და ნესვი გაზაფხულამდე ინარჩუნებს სურნელს და სიახლეს.

მთავი გალღვა

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კავკასიონის მთები მალღდება.

სიმაღლეში ზრდის პროცესი მეტად ნელა და სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი მასშტაბით მიმდინარეობს.

კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები — იალბუზი და ყაზბეგი წელიწადში სამი სანტიმეტრით მალღდება, ჯვრის უღელტეხილის მიღ-

მობში კი მთები ყოველწლიურად მხოლოდ რამდენიმე მილიმეტრით იმატებს სიმაღლეს.

სწავლულებს მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა კავკასიონის ქედებზე ოდესღაც აქტიურად მოქმედი ვულკანების კვალის შედეგია.

სწავლა სიბერეზე

აშხაბადში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის კაპიტოლინა აფონეას ნახატების პირველი გამოფენა, რომელმაც უამრავი დამთვალიერებელი მიიზიდა.

გამოფენაზე მოსულთა ყურადღება მიიპყრო არა მარტო ნამუშევრების ოსტატურად შესრულებამ, არამედ მხატვრის ასაკმაც.

კაპიტოლინა აფანასიევა ამჟამად 76 წლისაა. მან ფუნჯი პირველად მაშინ აიღო ხელში, როცა 62 წელს გადააბიჯა.

თხა, ცხვარი და აქლეი

— მხოლოდ ბუნებრივი ფერები! — ამ დევით დაიწყო მუშაობა აზერბაიჯანელმა ხალიჩების მქსოველმა ჯაფარ მუჯერმა.

ვეებერთელა ხალიჩას, რომელიც XVII საუკუნის გამოჩენილ აზერბაიჯანელ პოეტს საპიდტებრიზს მიუძღვნა, ოსტატი ათი წელი ქსოვდა.

ნაირფერად ხალიჩაზე პოეტის ლექსებიდან რამდენიმე სტრიქონია ამოქარგული.

ჯაფარ მუჯერმა ხალიჩის შესაქმნელად მხოლოდ სხვადასხვა ფერის თხის, ცხვრისა და აქლემის ბეწვი გამოიყენა.

რიტა, რიკი და რიგი

ასეთი შემთხვევა პირველად მოხდა ჩვენი ქვეყნის ცირკის ისტორიაში.

ცხოველების მომთვინიერებელი მიხეილ კონილოვი ქალაქ გროზნოში ის-ის იყო მორიგი ნომრის ჩასატარებლად ცირკის არენაზე აპირებდა გასვლას, რომ ასისტენტმა მოახსენა:

— რიტას ქალიშვილი შეეძინა!

რიტა ზებრა გახლდათ, მის ახლად შექმნილ შვილს კი რიკი დაარქვეს.

ცირკის ოთხფეხა მსახიობები რიტა, რიკი და მამამისი რიგი ახლა თავს კარგად გრძნობენ და მაყურებელთა წინაშე ერთობლივი გასვლისთვის ემზადებიან.

„ჩემპიონთა ოჯახი“ ასე შეარქვეს სამეულს. ასეც არის — საციკოდ გაწვრთნილმა ზებრამ ტყვეობაში პირველად შვა შთამომავალი.

ახალი მუზეუმი

ამერიკის ქალაქ სენტ-ლუიში გაიხსნა უცნაური მუზეუმი, რომელშიც ექიმბაშების და თვითმარქვია პროვიზორების „წამლებია“ გამოფენილი.

ვიტრინებზე აწყვია სხვადასხვა ფერის სითხით სავსე ბოთლები, ათასგვარი აბები, ფხვნილები, მაღამოები....

ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ერთ ავადმყოფობას „კურნავს“, ზოგიერთი — ორს, არის ძვირად ღირებული „წამლებიც“, რომლებიც ყველა დავადებისაგან „იიკვან“ ადამიანს.

მუზეუმს უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს.

პოლიციის უშიშარი თანაშემწე

„რკინის კომისარი“ — ასე შეარქვეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დამზადებულ რობოტს.

რობოტი, რომლის დანიშნულებაც პოლიციელს დაეხმაროს, 200 კილოგრამამდე იწონის.

„რკინის კომისარს“ ტყვია ვერაფერს აკლებს. მას თავისუფლად შეუძლია აცოცდეს კედელზე, გადაიტანოს მძიმე ტვირთი, შელწქოს ჩარაზული კარი, აგლიჯოს საეჭვო მანქანის საბარგული...

უშიშარმა რობოტმა პირველი გამოცდა კარგად ჩააბარა.

ამჯერად ლოს-ანჯელოსში

ფრანგმა ინჟინერმა ჟან კლონ დესტივომ დაპროექტა ახალი „იეფელის კოშკი“, რომელიც ამჯერად პარიზის ნაცვლად ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელოსში აღიმართება.

ახალი კოშკის სიმაღლე 600 მეტრი იქნება. ზედა ნაწილში მოეწყობა ვრცელი მოედანი, საიდანაც ერთდროულად ათას კაცს შეეძლება დატკბეს ქალაქის პანორამის ჭვრეტით.



კოშკის შუა ნაწილში გათვალისწინებულია აივოს ხუთასადგილიანი სასტუმრო.

მოგაჰის მიზნით

არგენტინის დიდ ქალაქებში ძალიან მომრავლდნენ პარაზიტი მწერები.

მაღაზიები, რომლებიც პარაზიტი მწერების მოსასპობი პრეპარატებით ვაჭრობენ, მუშტრებს ვეღარ აუღიან.

ამასწინათ გაირკვა, რომ ჩაწოლილი პრეპარატების გასაღებით დაინტერესებული ბიზნესმენები საგანგებოდ ამრავლებენ და ქვეყნის დიდ ქალაქებში ავრცელებენ სხვადასხვა პარაზიტ მწერებს.



შპეულად: 1. ინდურ მითოლოგიაში ცეცხლის ღვთაება; 2. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 3. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, ქულათა გარკვეული რაოდენობა; 5. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 6. რაიმეს გავრცელების არე; 8. დედამიწის კონტინენტი; 10. მტაცებელი ფრინველი; 11. XVI-XVII საუკუნის არქიტექტურული კომპლექსი საქართველოში; 12. ხმელეთზე სვლის პირდაპირი მიმართულება; 14. სახელმწიფო; 16. მსხვილად ნაქსოვი შალის ან ბამბის ქსოვილი; 19. დიდი და ღონიერი ჯიშის ძაღლი; 20. ველური ცხენი; 21. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება; 25. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 26. ვიწრო და გრძელი მარხილი; 30. ერთმნიანი ვოკალური ნაწარმოები.

შპეულად: 1. საბჭოთა კოსმონავტი; 2. ზღაპრული შინაარსის იგავი; 3. საგანი სადილის სერვისისათვის; 4. წყლის შესანახი პატარა კასრი ნაწე; 5. სამახსოვრო ნივთი; 7. ცხენების სარბიელი; 11. დამწერლობის უძველესი სახეობა; 12. ოპტიკური ხელსაწყო; 13. ამერიკის ერთ-ერთი შტატი; 15. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი; 18. მუსიკალურ ნაწარმოებთა საჯარო შესრულება; 19. კრანსოდარის მხარის ქალაქი; 23. მთელის ნაწილი; 24. ძველი ქართული პერიოდული გამოცემა; 28. მინერალური სასუქი; 29. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

თარგმულად: 3. ვიწრო, მსუბუქი ნავი; 4. ვულკანიდან ამონახეული გავარდარებული მასა; 7. კონუსის ან ნახევარსფეროს მოყვანილობის კარავი; 8. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 9. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი; 13. ნაოსნობისთვის საბიფათო წყალქვეშა კლდე; 15. რაიმეს შესწავლა ნაწილებად დაშლის გზით; 16. ინგლისელი პოლიციელის მეტსახელი; 17. საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დადგენილი სავალდებულო წესი; 18. მწვევე ხუნის უფერული გაზი; 22. გემის წყალქვეშა ნაწილის შესარემონტებელი ნაგებობა; 23. უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდი; 24. ძველებური ფრანგული ფული; 27. მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი; 28. სასპორტო ან ტურისტული გემი; 29. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 31. ინგლისში მიწის საზომი ერთეული; 32. ყვავილი.

თარგმულად: 5. სტუდენტთა ჯგუფური მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებელში; 6. საერთაშორისო და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე, „მუშა ქალთა ურთიერთდახმარების საზოგადოების“ შექმნის ინიციატორი; 8. ძველებური შოტლანდიური ცეკვა; 9. რუსი პოლარული მკვლევარი; 10. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 14. გერმანიის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი; 16. უმაღლესი ხარისხის მინა; 17. მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი; 20. იტალიელი კინომსახიობი; 21. მშვილდით სასროლი ჯოხი; 22. თეორიული მექანიკის დარგი; 25. რუსი რევოლუციონერი, მწერალი, ფილოსოფოსი; 26. საბჭოთა ფიზიოლოგი; 27. კავკასია არჩეული უფროსი რევოლუციამდელ რუსეთში; 30. ჩეხი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი; 31. სასპორტო ნაგებობა.

შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ.

შეადგინა ნათელა გომოსიძემ.

„დროშა“ № 7-ში გამომქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შპეულად: 1. ოპერაცია; 2. შაბლი; 3. ნიტრატი; 4. დივიზია; 5. კალია; 6. სკუმბრია; 9. ანონსი; 12. აგროქიმიკა; 14. მლადენოვი; 17. ტრალი; 19. ვისლა; 22. ალპიტუტა; 23. ოსმოსი; 24. ბისკვიტი; 26. ამულეტი; 27. პალიტრა; 30. უბანი; 31. ფაუნა.

თარგმულად: 7. აქელაცი; 8. დინამიკი; 10. ლარინგიტი; 11. შამაი; 13. ამება; 15. ტანკი; 16. დიორიტი; 18. ავიაცია; 20. ოქტავა; 21. დისნეი; 25. ოლიმპია; 27. პაროდია; 28. შამაი; 29. ბისაუ; 31. ფისკი; 32. ბალისტიკა; 33. ალიუნქტი; 34. ირანისტი.

გარეკანის პირველ გვერდზე: მზის ჩასვლისას. გარეკანის მეოთხე გვერდზე: მშვიტები. ფოტო ანატოლი რუხაძისა და ვალერი სოკოლოვისა.

კორექტორი ცინსან სიონიასა

მონტაჟი ნანული დანელიანი

გადაეცა წარმოებას 26. VII. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 8. 84 წ. უე 01453 ქალაქის ზომა 70x1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 საადრიცხვო-სავა-სომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48. 000. შეკვ. 1466. ფასი 35 კაპ.

880086, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ ც-ის გამომცემლობის სტამბა.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.



რედაქციაში შეიშული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели. 42.




თბილისის იპოდრომზე

ფოტო თარხან არჩვაძისა.



119



ეროვნული
ბიბლიოთეკა